



შირაქი

SHIRAKI

№ 18 (10.173)

1-7 ივნისი, 2025 წელი

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ყოველკვირეული გაზეთი * გამოდის 1937 წლიდან

* ფასი: 60 თეთრი

„როგორც უფალი, სამოქმედო, ერთი ქვეყანაზედა...“

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის მიღებიდან 107 წელი გავიდა. 26 მაისი საქართველოს დამოუკიდებლობის დღეა. 1918 წლის 26 მაისს, საქართველოს ეროვნულმა საბჭომ, ნოე ჟორდანიას ხელმძღვანელობით, დამოუკიდებლობის აქტი მიიღო თბილისში, მაშინდელ გოლოვინის პროსპექტზე, დღევანდელ რუსთაველის გამზირზე მდებარე კავკასიის მეფისნაცვლის ყოფილ რეზიდენციაში, სადაც დღეს მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეა. რუსეთის იმპერიისგან დამოუკიდებლობა პირველმა რესპუბლიკამ არსებობა 1921 წლის თებერვალში შეწყვიტა, ბოლშევიკური რუსეთის სამხედრო აგრესიის და ოკუპაციის შედეგად. 70 წლის შემდეგ, 1991 წლის 9 აპრილს, საქართველომ დამოუკიდებლობა აღიდგინა.

საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები დედოფლისწყაროს ახლად რეაბილიტირებული მხარეთმცოდნეობის მუზეუმის გახსნიდან დაიწყო. მუზეუმში შეკრებილ საზოგადოებას დამოუკიდებლობის დღე დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა მიულოცა და მათთან ერთად დაათვალიერა მუზეუმის საგამოფენო დარბაზები.

„ყველას ძალიან კარგად გვახსოვს ამ მუზეუმის წინა მდგომარეობა, დამეთანხმებით, რომ მართლა ძალიან კარგი და დიდი საქმე გაკეთდა. აქ არის ჩვენი ქვეყნის ისტორია, წარსული, არტეფაქტები, რომლის ცოდნაც და შემეცნებაც, რა თქმა უნდა, განათლების მიღება და თუ არ ვიცით საიდან მოვდივართ და რა ღრმა ფესვები გვაქვს, შორს ვერ წავალთ. მუზეუმის ყველა თანამშრომელს ვულოცავ ამ დღეს, გილოცავთ განახლებულ მუ-

ზეუმს, მადლობას გიხდით იმისთვის, რომ ათწლეულების მანძილზე თითქმის გაუსაძლის, ცუდ პირობებში იყავით და მაინც, გმირულად მოიტანეთ დღემდე ეს ფონდი, გაუფრთხილდით, შეინახეთ, არ დაკარგეთ, განსაკუთრებით იმ 90-იან წლებში, როდესაც ყველა ყველაფერს იპარავდა. ამიტომ აქვს მნიშვნელობა ამ ყველაფერს, რადგან როგორც გინდა გააუმჯობესო და კარგი ინფრასტრუქტურა შექმნა, თუ ექსპონატი არ გექვს, იმ ინფრასტრუქტურას ფასი არ ექნება. მთავარი ღირებულება, უპირველეს ყოვლისა, როგორც აღვნიშნე, ამ მუზეუმის თანამშრომლები არიან, რომლებსაც უდიდესი ცოდნა და გამოცდილება აქვთ. შევეცადოთ, ეს უნიკალური ცოდნა, სხვებსაც გა-

დავცეთ და გავუნაწილოთ. სწორედ ამიტომ, ვთხოვე განათლების რესურს-ცენტრის ხელმძღვანელობას, შევიმუშავოთ საგანმანათლებლო პროგრამის მსგავსი რამ, რომელიც ჩვენი მუნიციპალიტეტის სკოლების მოსწავლეებს მისცემს მუნიციპალიტეტში არსებულ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების გაცნობის საშუალებას, რათა უკეთ შეიმეცნონ საკუთარ მხარე და გაიგონ, საიდან მოდინან, ვისი გორისანი არიან.

აღსანიშნავია, რომ ყველა ბავშვი, რომელიც აქ გამოვიდა და მოგვილოცა



დამოუკიდებლობის დღე, დამოუკიდებელ საქართველოშია დაბადებული. ეს ძალიან დიდი სიმდიდრე და პასუხისმგებლობაა. ინებოს უფალმა, რომ მომავალი თაობებიც დამოუკიდებელი საქართველოს შვილები იყვნენ. შორეულ წარსულში დარჩენილიყოს საბჭოთა ოკუპაცია, ყველა ომი და განსაცდელი, რაც ჩვენს ქვეყანას გადახდენია. საქართველოს გარშემო მყოფი ყველა იმპერია, ცდილობდა საქართველოს დაპყრობას, თუმცა, ბოლომდე



დონ დამოუკიდებელ საქართველოში და როგორც ბერი ზოსიმე იტყოდა, „ქართული განათლება“. გვარავდეთ ყველას უფალი, ჯანმრთელობა, გახარება გქონოდეთ და გისურვებთ, კიდევ უამრავჯერ გვეხვედნოდეთ დამოუკიდებლობის დღე

ამ ბავშვებთან ერთად. დიდი მადლობა მუნიციპალიტეტის მერს, ნიკოლოზ ჯანიაშვილს, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრის ხელმძღვანელს დოდო ხუნაშვილს, მუდმივად ჩვენი გვერდში დგომისთვის და ყურადღებისთვის, ბატონ გელა გველუკაშვილს ამ ბავშვების ასე წარმორჩენისთვის, ისინი ნამდვილად გაიზრდებიან ღირსებით და სწორი ღირებულებებით სავსენი“.

ღონისძიებაზე შესრულდა ხალხური სიმღერები, რის შემდეგაც მუზეუმის სტუმრებს საგამოფენო დარბაზებში უნიკალური არტეფაქტების დათვალიერების საშუალება მიეცათ.

მხარეთმცოდნეობის მუზეუმის შემდეგ, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი დედოფლისწყაროს ახლადმშენებულ, თამაზ ყარაგეზაშვილის სახელობის კიკობაშინისა და ტაილანდური კრივის დარბაზში საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებას დაესწრო. დარბაზი ირაკლი ლარიბაშვილის ინიციატივით აშენდა.

მერმა საქართველოს დამოუკიდებლობის დღე მიულოცა ადგილობრივ სპორტსმენებს, რომლებმაც საჩვენებელი ვარჯიში გაიმართეს.

მერთან ერთად ახლადგახსნილ დარბაზში საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გოჩა სამუკაშვილი და

დედოფლისწყაროს თვითმმართველობის წარმომადგენლები იმყოფებოდნენ.

ღონისძიება გაგრძელდა ხელოვნების სკოლის დარბაზში, სადაც პროფესორ ავთანდილ პოპიაშვილისადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა. ღონისძიებაზე, საპატიო სტუმრის სტატუსით მონაწილე იყვნენ ავთანდილ პოპიაშვილის ოჯახის წევრები და მეგობრები.

ნიკოლოზ ჯანიაშვილი: „ძალიან მიხარია, ყველას აქ რომ გხვდავთ. მინდა, თითოეულ თქვენგანს მოგილოცოთ დღევანდელი დღე. ალბათ, დამეთანხმებით, რომ საქართველოს მოქალაქისთვის, საქართველოს შვილისთვის, იმ ადამიანისთვის ვინც, მიუხედავად თავისი ეროვნული წარმომავლობისა, ამ ქვეყანაში დაიბადა და გაიზარდა, ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი საერო დღესასწაული სწორედ საქართველოს დამოუკიდებლობის დღეა და მიხარია, რომ ამ დღეს ასეთი ძვირფასი საზოგადოება შეიკრიბა დედოფლისწყაროში. კიდევ ერთხელ გავისხენებთ ავთანდილ პოპიაშვილს, პატივს მივაგებთ მის სსოვნას და ხაზს გავუსვამთ იმას, თუ რა დიდი, ღირსეული ადამიანი ჰყავდა დედოფლისწყაროს. როდესაც რამდენიმე თვის წინ, ჩვენს დედა უნივერსიტეტში ბატონ ავთანდილისადმი მიძღვნილ საღამოს დავესწარი, მაშინ დაიბადა იდეა, რომ დამოუკიდებლობის დღეს გაგვეხსენებინა ადამიანი, რომელმაც ყველაზე ძვირფასი დოკუმენტს, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტს მოაწერა ხელი. დამეთანხმებით, რომ ამ დარბაზში მსხდომი ნებისმიერი ადამიანი ისურვებდა მასზე ხელის მოწერას, ყველაფერს გაიღებდა, რომ მისი სახელი საშვილთაშვილოდ დარჩენილიყო ისტორიაში, მაგრამ ეს ალბათ, დიდი ხალხის ხედრია.

/გაგრძელება გვ.3/



მათ ეს არასდროს გამოსვლიათ. ჩვენ ძალიან ამაყი ერის შვილები ვართ, რადგან გვაქვს სახელმწიფოებრიობის 3 000-წლიანი, 2 000-წლიანი ქრისტიანობის, ხოლო ღვინის დაყენების 8 000-წლიანი ისტორია. დარწმუნებული ვარ, ჩვენი დიდებული ისტორია კიდევ არაერთ ათასწლეულს მიითვლის. გილოცავთ დამოუკიდებლობის დღეს!“ – აღნიშნა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა.

ლალი გურასაშვილი, მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი: „დიდი მადლობა ყველას, რომ დღეს ასეთ გაბრწყინებულ მუზეუმში მოგვცა სტუმრების მონაწილეობის საშუალება. გილოცავთ დამოუკიდებლობის დღეს, რომელიც ნამდვილად ჩვენი დღეა. ეს ბავშვები ნამდვილად უნდა გაიზარ-



დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის, ნიკოლოზ ჯანაშვილის მიერ ინიცირებული პროგრამა „ერთი დღე სოფელში“ გრძელდება. პროგრამის ფარგლებში 23 მაისს ნიკოლოზ ჯანაშვილი სოფელ ოზანში ეწვია.

მერიის წარმომადგენელ ვანო ბენაშვილთან ერთად, მერი ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდა და საჭიროებების შესახებ ინფორმაცია მოისმინა. ასევე მერი ახლადაგებული საჯარო სკოლას და საბავშვო ბაგა-ბაღს ესტუმრა, სადაც არსებულ პირობებს და სააღმშრდელო პროცესს გაეცნო.

ნიკოლოზ ჯანაშვილი ოზანში ღვაწლმოსილ პედაგოგს, გულნარა ქოჩეჩაშვილს ეწვია და განუხილა მრავალწლიანი ამაგისთვის მადლობა გადაუხადა.



გულნარა ქოჩეჩაშვილი: „ეს იყო მოულოდნელი და დაუგეგმავი შეხვედრა. რომ დაიძახეს, პირველ რიგში ის ვიკითხე, რამე ხომ არ დავაშავე მეთქი... გაილიზა და მითხრა, რადგან ღვაწლმოსილი პედაგოგი ხართ, თქვენზე ბევრი მესმოდება და როგორც ამაგდარი ქალბატონი, მინდოდა მომენახულებინეთო. ჩემი კარი საინტერესო ადამიანებისთვის ყოველთვის ღიაა. მერს პირველად რამდენიმე წლის წინ შევხვდი, როცა წინასაარჩევნო

კამპანიის ფარგლებში პედაგოგებს ხვდებოდა. ინდივიდუალურად კი პირველად შევხვდი. ვისაუბრეთ ჩემს მოღვაწეობაზე, ოჯახზე, ჩემს ოზანში ჩამოსვლაზე და დიდ ისტორიაზე. ჩემი მოსაზრებებით დაინტერესდა, როგორ უნდა განვითარდეს სასკოლო ცხოვრება. კარგი შთაბეჭდილებები დამრჩა, რადგან დაინტერესდა და ჩემი აზრი მომისმინა. მადლობელი ვარ, რომ ჩემთან შეხვედრის სურვილი გაუჩნდა. ჩემთვის ადამიანებთან ურთიერთობა მნიშვნელოვანია. იმდენად უმუშაო საუბარი გვექონდა, არ მქონია განცდა, რომ მერს ვესაუბრებოდი. კარგი პიროვნებაა, კომუნიკაბელური ადამიანი და თამამად ველაპარაკე. პრობლემებზე და შენიშვნებზე არ მისაუბრია. ასეთი საკითხი თუ მექნებოდა, სოფლის რწმუნებულთან დავაყენებდი და ამისთვის მერს არ მოვაცდენდი. 53

წელი ვიმუშავე პედაგოგად, ინგლისურსა და რუსულ ენებს ვასწავლიდი. სკოლა 2019 წელს დაეტოვა, როცა პენსიონერი პედაგოგების ღირსეული გაცემების პროგრამა იყო. ოზანში რომ გადმოვსახლდი, მაშინ მხოლოდ რვაწლიანი სკოლა მოქმედებდა. წარმოიდგინეთ, უკვე მეორე სკოლის მშენებლობას მოვესწარი, ეს რამხელა ისტორიაა. პირველად ძველი სკოლის ეზოში აშენდა კიდევ ერთი შენობა, თუმცა მაშინვე არ იყო საკმარისი, ძველი შენობა კი ძალზე ამორტიზებული იყო. დიდი ხნის ოცნება იყო თანამედროვე სკოლის აშენება, რომელიც წელს გაიხსნა. ძალიან მინდოდა გახსნას დავსწრებოდი, სიტყვაც კი მომზადებული მქონდა, მაგრამ სამწუხაროდ, ვერ გავიგე... სხვა დროს დავათვალიერებ.“

ლია სუსიტაშვილი (ოზანის

ბაღის მენეჯერი): „სოფელში ჩამოსვლისას ნიკოლოზ ჯანაშვილი ყოველთვის სტუმრობს საბავშვო ბაღს. ტრადიციულად, ამავე რადაც გვეწვია, გაესაუბრა აღმზრდელებს, ბავშვებს. დაინტერესდა რამდენი ბავშვი გვყავს, რამდენს ვაცილებთ წელს სკოლაში და რამდენს ველოდებით ახალი სასწავლო წლისთვის. ვისაუბრეთ ჩვენი ბაღის წინაშე არსებულ პრობლემებზე. დაგვიჩვენა, რომ მომავალი წლისთვის მონერგდება სამუსიკო დარბაზი და შეიცვლება ფანჯრები. ასევე მივიღეთ დაპირება, რომ განახლდება მესერი. ის დაინტერესდა ჩვენთან მიმდინარე სასწავლო პროცესით. აღმზრდელმა სოფელი წარმომავალი და მუსიკის პედაგოგმა ჩაატარეს აქტივობები. შემდეგ კი ბატონმა ნიკოლოზმა მადლობა გადაგვიხადა განუხილ შრომისათვის და სამახსოვრო ფოტოები გადავიღეთ.“

ანა ლათიგაშვილი (ოზანის სკოლის დირექტორი): „გულთბილი შეხვედრა გვექონდა. ისეთი დრო დადგა, ჩვენთან მნიშვნელოვანი პრობლემა არ გვიდგას, სულ ახალი სკოლა გვაქვს და თანამედროვე სტანდარტების სასწავლო სივრცე გვაქვს. სოფელშიც ყველა საკვანძო საკითხი გადაჭრილია და არც სოფლის პრობლემები წამოჭრილა. სოფელსაც ისეთი რწმუნებული ჰყავს, ყველაფერს ოპერატიულად აგვარებს. ოზანის ძირითადი საწუხარი მიგრაციაა, დაბალი კონტინგენტი ქმნის პრობლემებს. გასულ წელს 1 პირველკლასელი გვყავდა, ახლა ექვსს ველოდებით, საბავშვო ბაღსაც იგივე პრობლემა აქვს და ამაზე გავამახვილეთ ყურადღება. იქნებ როგორმე მოიძებნოს გამოსავალი მიგრაციის შეს-



ამცირებლად და ბავშვთა კონტინგენტის გასაზრდელად.“

ვანო ბენაშვილი (მერიის წარმომადგენელი ოზანში): „რამიმ ახალი და მნიშვნელოვანი პრობლემა მოსახლეობის მხრიდან არ წამოჭრილა, შიდა გზების მოასფალტების საკითხმა გაიჟღერა და ამის პირობა ისედაც არსებობს. ძირითადად იმაზე იყო საუბარი, რომ სოფელი დაცლილია და შევლა სჭირდება, ეს უარყოფითად აისახება საბავშვო ბაღისა და სკოლის მუშაობაზე. 2019 წლის შემდეგ შობადობა ძალიან დაბალია. ახალგაზრდა ოჯახები კი იქმნება, მაგრამ ისინი ძირითადად დედაქალაქსა და რუსთაში ამჯობინებენ ცხოვრებას, შესაბამისად მათი შვილებიც იქ სწავლობენ და მკვიდრდებიან. მიგრაციის მასშტაბური პრობლემა დგას. ასევე სოფლის პროგრამის მიმდინარეობაზე ვისაუბრეთ, დასრულებულია მოსახლეობის მიერ არჩეული საკითხების დაპროექტება და სულ მალე გამოვლინდება კომპანია, რომელიც სამუშაოებს შეასრულებს. რამდენიმე თვეში სოფლის ცენტრში, გარე სივრცეში თანამედროვე სპორტული ტრენაჟორები მოეწყობა.“

პროექტი „ერთი დღე სოფელში“ მომავალშიც აქტიურ რეჟიმში გაგრძელდება.

ილია მარტყოფიშვილი

„რა, სად, როდის?“ ფინალი გაიმართა

ინტელექტუალური თამაში „რა, სად, როდის?“ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში მუდმივ სახეს ატარებს. მსგავსი პროექტის ძირითადი მიზანია მოსახლეობის ინტელექტის დონის ამაღლება, ახალგაზრდაში ნივთიერებისა და ცოდნის ნახატი-საბა, მოსახლეობის მოტივირება და ნიჭიერთა წარმოჩენა ადგილობრივ და საზღვარსაღარ დონეზე.

ქალაქ დედოფლისწყაროს სპორტულ დარბაზში სწორედ ასეთი მნიშვნელოვანი ინტელექტუალური თამაშის-„რა, სად, როდის“ მუნიციპალიტეტი ჩემპიონატის ფინალი გაიმართა.

თამაშში ერთმანეთს მუნიციპალიტეტის 6 გუნდი დაუპირისპირდა:

- არაოპიკის გუნდი „ლაბიონარა-ბი“;
- ოზანის გუნდი „ჰაიზანგარბი“;
- სონგაბუჯის გუნდი „რადიკალა-ბი“;
- სამთაწყაროს გუნდი „ვანიქი“;
- ქვ.ქალის გუნდი „ნიკა“;
- სამრეკლოს გუნდი „ჯაფარიკა“;

თამაში საკმაოდ საინტერესო და დაძაბული გამოდგა. პირველმა ტურმა ჩემპიონატის გამარჯვებული ოზანის საჯარო სკოლა გამოავლინა. სამეულის ადგილებს შესავსებად კი თამაშის გაგრძელება და მეორე ტურის დანიშვნა გახდა საჭირო. შედეგად, მეორე ადგილი სოფელ ხორნაბუჯის საჯარო სკოლის

გუნდმა მოიპოვა, ხოლო მესამე ადგილზე სოფელ ქვემო ქედის საჯარო სკოლის გუნდი გავიდა.

ლონისძიებას დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანაშვილი და საქართველოს პარლამენტის წევრი ვლადიმერ ბოჟაძე ესწრებოდნენ. ისინი ახალგაზრდებს მიესალმნენ და წარმატებები უსურვეს.

დასასრულს გამოვლინდა თამაშის საუკეთესო მოაზროვნეც და ის ოზანის გუნდის წარმომადგენელი ლუკა პაპუაშვილი გახდა. გამარჯვებულებს საჩუქრები დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიისგან და ნინო კიკლაშვილის ოჯახის წევრებისგან გადაეცათ. გარდა ამისა, გაირკვა, რომ პირველ და მეორე ადგილოსანმა გუნდებმა, დედოფლისწყაროს სახელით, კახეთის რეგიონალურ შეხვედრაში თამაშის უფლება ავტომატურად მოიპოვეს.

ტურნირი ტრადიციულად გარდაცვლილი დედოფლისწყაროელი ახალგაზრდის, ნინო კიკლაშვილის სახელს ატარებს და ის 2019 წლიდან ტარდება.

გარდა ზემოთ აღნიშნული მიზნებისა, ინტელექტუალური თამაში „რა, სად, როდის?“ მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის ერთმანეთთან დაახლოებას, ინტელექტუალური განვითარების პროპაგანდასა და მოსწავლეთა თვითრეალიზაციასაც უწყობს ხელს.

გაზეთი „შირაქი“ მადლობას უხდის



დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრს, მის ხელმძღვანელს დოდო ხუნაშვილს და მთავარ სპეციალისტს ახალგაზრდულ საკითხებში ლელა ბი-

ლიაშვილს საინტერესო, შემეცნებითი ღონისძიების ჩატარებისთვის და წარმატებებს უსურვებს მათ შემდგომ პროფესიულ საქმიანობაში.

ქუთუხა ყანაშვილი
ქალაქ ხარაშვილი



„როგორც უფალი, სამშობლო, ერთია ქვეყანაზედა...“

/პირველი გვერდიდან/
საამაყოა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის გარიჟრაჟზე ბატონი ავთანდილი მონინავეთა რიგებში იდგა და ამასთანავე ქართული ფილოსოფიური სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელი გახლდათ. მიხარია, რომ მშობლიური სოფელ გამარჯვების საჯარო სკოლა მის სახელს ატარებს. მიმაჩნია, რომ ბატონი ავთანდილ პოპიაშვილის სახელის პოპულარიზაციისთვის გაცილებით მეტი უნდა გაკეთდეს და ჩვენი მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობამ მეტი უნდა შეიტყოს მის შესახებ. ამიტომ, ამაზე სწორი და ბუნებრივი არ იქნებოდა არანაირი სხვა ღონისძიება, რომ გაგვეხსენებინა მისი ღვაწლი. მისი ოჯახი კი უნდა გავაძლიეროთ იმით, რომ ვუთხრათ, როგორი ადამიანის მეუღლე და როგორი მამის შვილები არიან. ასე, რომ ჩვენი მიზანი, რაც გვკონდა, თქვენი აქ მობრძანებით უკვე მიღწეულია“.

მეუღლემ, **ნაირა ბაპიძე**, ისაუბრა ავთანდილ პოპიაშვილზე, როგორც სანიმუშო მეუღლეზე და მამაზე. გაიხსენა მათი ოჯახური თანაცხოვრების მნიშვნელოვანი ეპიზოდები, შემდეგ კი საზოგადოებას გააცნო აკადემიკოს გურამ თევზაძისა და ნოდარ ნათაძის შეფასებები მისი, როგორც ქართული ფილოსოფიის სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენლის შესახებ. „მისი ნაადრევი წასვლა მნიშვნელოვანი დანაკლისია, ქართული ფილოსოფიური წრისთვის და ამ ცარიელ ადგილს ვერავინ ამოავსებს“ - წერდა გურამ თევზაძე ერთ-ერთ მონოგრაფიაში. შეილება, ფილოლოგიის დოქტორმა, პროფესორმა **ნინო პოპიაშვილმა** და **თაბარ პოპიაშვილმა**, შავი ზღვის უნივერსიტეტის ლექტორმა, გემანისტმა გაიხსენეს მამა და აღნიშნეს, რომ ადამიანურ ღირებულებებთან ერთად სწორედ მან შეაყვარა შვილებს სამშობლო. „ის ხშირად იმეორებდა ხოლმე ვაჟა-ფშაველას ციტატას: „ღმერთო სამშობლო მიცოხლეო“ და განმარტავდა, თუკი მისი ქვეყანა იქნებოდა ბედნიერი, მაშინ შვილებიც და ოჯახის წევრებიც ბედნიერები იქნებოდნენ. მამას საზოგადოებრივი ცხოვრება ორი მიმართულებით წარიმართა. ორი მნიშვნელოვანი და უმთავრესი მიმართულებით. პირველი, ეს იყო ფილოსოფია, ნამდვილი, ჭეშმარიტი ფილოსოფია იმ დროს, როდესაც არსებობდა ცრუ, ყალბი ფილოსოფია (მარქსიზმ-ლენინიზმი, დიალექტური მატერიალიზმი)... და მეორე, ეს იყო მისი გზა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მუშაობაში. ეს საღამო ჩვენთვის იყო მამას გახსენების, მისი რთული, უკიდურესად თავისებური, ხანმოკლე და ინტენსიური ცხოვრების მნიშვნელოვანების დასტური. სიმბოლური იყო, რომ ღონისძიების ბოლოს სცენაზე მიიწვიეს ჩვენი შვილები. დიდი მადლობა შესანიშნავ ორგანიზატორებს, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიას, მერს, ბატონ ნიკოლოზ ჯანიაშვილს, კულტურის განყოფილების ხელმძღვანელს, დოდო ხუნაშვილს, გაზეთ „შირაქის“ მთავარ რედაქტორს, ინგა შიოლაშვილს, ხელოვნების სასწავლებლის დირექციას, დედოფლისწყაროს ეთნოგრაფიული მუზეუმის დირექციას და ღონისძიების ყველა თანაორგანიზატორს. დიდი მადლობა უძვირფასეს სტუმრებს, მამას მეგობარს, პროფესორ ამირან გომარტელს, მამას ბავშვობის მეგობარს, გაზეთ „შირაქის“ რედაქტორს მრავალი წლის განმავლობაში, ნაირა გორაშვილს, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ გამარჯვების ავთანდილ პოპიაშვილის სახელობის საჯარო სკოლის პედაგოგებს, ჩვენს ძვირფას ქიზიყელებს. საქართველოს დამოუკიდებლობა, საქართველოს ყველა მოქალაქისათვის მნიშვნელოვანი, ურთიერთგაზიარებისა და გაცნობიერების დღეა. ეს დღე ჩვენია, ყველასია, ვინც აცნობიერებს თავის პასუხისმგებლობას ამ ქვეყნის, საქართველოს წინაშე, ვინც აცნობიერებს, რომ უდი-

დესი ღირებულებაა ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა“ - აღნიშნეს ოჯახის წევრებმა.

„ბავშვობიდან გამორჩეული იყო, როგორც გონიერებით, ასევე ადამიანური თვისებებით, ბოლომდე ასეთად დარჩა-ის ყოველთვის დიდი ბავშვი იყო, კეთილი და დიდბუნოვანი“-ამბობს მისი და, **ნათელა პოპიაშვილი**.

ღონისძიებას ესწრებოდა ავთანდილ პოპიაშვილის მეგობარი, პროფესორი, ჟურნალ „ცისკრის“ რედაქტორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა ფოქტორი, პროფესორი, ლიტერატურათმცოდნე და კრიტიკოსი **ამირან გომარტელი**, რომელმაც გაიხსენა ავთანდილ პოპიაშვილთან გაცნობის, დაახლოების, მასთან ურთიერთობის წლები, მოგონებები. ასევე სიტყვით გამოვიდა, ავთანდილ პოპიაშვილის ბავშვობის მეგობარი, გაზეთ „შირაქის“ ყოფილი რედაქტორი, **ნაირა გორაშვილი**, რომელმაც ვრცლად ისაუბრა ბატონ ავთანდილზე, მასთან გატარებულ ბავშვობაზე, ოჯახებით დანათესავებაზე, გამარჯვების სკოლისთვის მისი სახელის მინიჭების პროცესზე, ოჯახს კი სახსოვრად გაზეთ „შირაქში“ გამოქვეყნებული ავთანდილ პოპიაშვილისადმი მისი გამოსათხოვარი წერილი გადასცა, რომელიც ნოსტალგიითა და სევდით იყო განმსჭვალული.

ღონისძიების ფარგლებში ასევე გაიმართა ფილმის „ინდივიდი ჭეშმარიტების ძიებაში - ავთანდილ პოპიაშვილი 80“ ჩვენება (რეჟისორი ნინო გელოვანი). აქვე გაჩნდა ინიციატივა, რომ ამ ფილმის ჩვენება მოეწყოს გამარჯვების საჯარო სკოლის სასკოლო საზოგადოებისთვის, რაზეც ავთანდილ პოპიაშვილის ოჯახმა სიამოვნებით განაცხადა თანხმობა.

მინი ფილმი: ავთანდილ პოპიაშვილი (1944 წლის 5 მარტი-1998 წლის 15 თებერვალი) დაიბადა დედოფლისწყაროში.



როს რაიონის, (მაშინდელი წითელწყარო) სოფელ გამარჯვებაში; 1962-1964 წლებში სწავლობდა საქართველოს სახელმწიფო პოლიტექნიკურ ინსტიტუტში; შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1970 წელს; 1970-1975 წლებში იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის უმცროსი, 1975-1982 წლებში უფროსი, ხოლო 1982-1998 წლებში წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი. 1986-1990 წლებში იყო იაკოვ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური კოლეჯის პრორექტორი. 1977-1997 წლებში პოპიაშვილი კითხულობდა ფილოსოფიის ისტორიის სალექციო კურსებს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საქართველოს სახელმწიფო პოლიტექნიკურ ინსტიტუტში; 1974 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „ფიხტეს ეთიკური იდეალიზმის კრიტიკისთვის“, ხოლო 1988 წელს კი სადოქტორო დისერტაცია თემაზე „ინდივიდის პრობლემა სიონურ კირკევორისა და ფრიდრიხ ნიცშეს ფილოსოფიაში“. 1976 წელს ავთანდილ პოპიაშვილმა გამოსცა მონოგრაფია „ფიხტეს ეთიკური იდეალიზმის კრიტიკისთვის“, ხოლო 1988 წელს მო-



ნოგრაფია „ინდივიდის პრობლემა კირკევორისა და ფ.ნიცშეს ფილოსოფიაში“.

* * *

პარალელურად, ცენტრალური პარკის სტადიონზე, მიმდინარეობდა მინი ფეხბურთის ტურნირი, სადაც პირველი სოფელ ხორანაშვილის გუნდმა მოიპოვა, მეორე ადგილი-ქალაქ დედოფლისწყაროს გუნდმა დაიკავა, მესამე ადგილზე - ქვემო ქაღი, მეოთხე საპრიზო ადგილზე კი ზემო ქაღის გუნდი გავიდა.

საპრიზო ადგილებზე გასულ გუნდებს, მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა, მოადგილე მალხაზ მერაბიშვილმა და კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრის დირექტორის მოადგილე გაგა პატაშურმა სიგელები, მედლები და ფულადი ჯილდოები გადასცეს.

საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები, ქ.დედოფლისწყაროს კულტურის სახლში საღმრთაწინაულო კონცერტით დასრულდა. შეკრებილ საზოგადოებას დასკვნითი სიტყვით, ნიკოლოზ ჯანიაშვილმა მიმართა: „ყველას გილოცა-

დედოფლისწყაროსთვის. მის მშენებლობაში ღონის წვლილი მიუძღვის ჩვენს თანამემამულეს, ექს-პრემიერს ირაკლი ლარიბაშვილს. სპორტის ამ სახეობაში ჩვენს მუნიციპალიტეტს 7 მსოფლიო ჩემპიონი ჰყავს და ეს მაშინ, როცა სპორტსმენებს სავარჯიშო დარბაზიც არ ჰქონდათ. იმედია, ამიერიდან, სპორტის ამ სახეობაში დედოფლისწყაროს გაცილებით მეტი ჩემპიონი ეყოლება. დღევანდელ თარიღს მიეძღვნა საფეხბურთო ტურნირი ახლადრეაბილიტირებულ ცენტრალურ პარკში, ახალ სტადიონზე მეგობრული მატჩი გაიმართა. გამოცდილი ადამიანებისა და ახალგაზრდების სინთეზით ბევრი კარგი საქმის კეთებაა შესაძლებელი. ამაში დღევანდელმა დღემ კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა. კიდევ ერთხელ გილოცავთ საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს! ერთი რამის რძმად მნამს, რომ ჩვენი ქვეყნის ხვალისდელი დღე კიდევ უფრო ლამაზი და წარმატებული იქნება, რადგან დღეს ყველაზე მეტად ვართ დამოუკიდებლები, რამეთუ საქართველოს ბედი დღეს არა სხვა ქვეყანაში, არამედ საქართველოში წყდება!“ - აღნიშნა მან. კონცერტში ადგილობრივი ფოლკლორული, ვოკალური, ქორეოგრაფიული ანსამბლები და ახალგაზრდული თეატრი „ბერიკონის“ მსახიობები მონაწილეობდნენ. ღონისძიება მიყავდა ცარო მარტიაშვილს.

* * *

26 მაისი ისტორიული დღესასწაულია! ამ დღეს გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა. არსებობის არასრული სამი წლის მიუხედავად, პირველმა რესპუბლიკამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ქვეყნის პოლიტიკურ, სოციალურ და კულტურულ განვითარებაში.

აი, რას წერდა მაშინდელი მოვლენების ერთ-ერთი მონაწილე ზ. ავალიშვილი: „ამ განსაკუთრებულ წუთში როგორ არ გვესმინა ისტორიული სტიქიების გუგუნი, როგორ არ ყურადღებულ იმათი ხმა, ვინც დიდი ხანია აღარ არის... აი, დამოუკიდებლობამ კარზე მოაკაკუნა და როგორ არ შევეგებოთ ალტაცებით! თუ ეს წუთი გავუშვით, რა პასუხი გავცეთ იმათ, ვინც ჩვენს შემდეგ მოვა!“

და 1918 წლის 26 მაისს თბილისში საქართველოს ეროვნულმა საბჭომ მიიღო საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, რომლის პირველ პუნქტში ეწერა ის, რაზეც საუკუნეების მანძილზე ოცნებობდა უამრავი მამულიშვილი: „ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებიანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა“.

ხოლო მაშინდელი ხელისუფლების მიერ რუსული ოკუპაციის არალიკრება გახდა 1991 წლის 9 აპრილს გამოცხადებული საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის საფუძველი. „სიმბოლურია საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადება 9 აპრილს, ვინაიდან ამ დღეს გადაწყდა საქართველოს ბედი. 9 აპრილის წამებულთა სულები დაგვცქერიან ჩვენ და ხარობენ ზეციურ ნათელში, რამეთუ აღსრულდა ნება მათი, აღსრულდა ნება ქართველი ერისა, გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს! გვფარავდეს ღმერთი!“

ქუჩუნა ყანაშვილი
ხათუნა ბანაშვილი

ქართველი „ახალგაზრდა ელჩი“ ამერიკაში

პირველად ის ერთ-ერთ ღონისძიებაზე ვნახე, საოცრად ცეკვავდა. მაშინვე მიიპყრო ჩემი ყურადღება გამორჩეული არტისტიზმითა და ნიჭიერებით. ეს არ იყო დაყენებული პოზა, მის ცეკვაში პატარა გოგონას შინაგანი ბუნება და ხასიათი გამოსჭვივოდა, ცეცხლი, რომელიც ნორჩი შემსრულებლის მიზანდასახულობაზე მეტყველებდა. მას შემდეგ მარიამს ხშირად ვხვდავდი სცენაზე, ერთნაირად წარმატებული იყო სიმღერაში, ცეკვაში, სწავლაში. მონაწილეობდა და იმარჯვებდა სხვადასხვა პროექტში. ახლახან ქ. დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის მეთორმეტეკლასელი მარიამ ყოჩიაშვილი ინგლისური ენისა და ლიტერატურის პედაგოგთან - ეკა სეფიაშვილთან ერთად ამერიკის შეერთებულ შტატებში, დელავერის უნივერსიტეტში (ვილმინგტონი, აშშ) 2025 წლის 1-2 მაისს გამართულ ინოვაციურ მოსწავლეთა მსოფლიო სამიტზე, ახალგაზრდა ელჩის სტატუსით იმყოფებოდა. რას ნიშნავს ახალგაზრდა ელჩის სტატუსი და როგორ მოხვდა მარიამი ბევრისთვის საოცნებო ქვეყანაში, ამის შესახებ მარიამ ყოჩიაშვილი და მისი მასწავლებელი ეკა სეფიაშვილი გაზეთ „მირაქთან“ საუბრობენ.



ეკა სეფიაშვილი: „მასწავლებლებს შორის გამოცდილების გაზიარება და ჯანსაღი თანამშრომლობა უმნიშვნელოა მოსწავლეთა ინტერესებისთვის“

— ეკა, როგორ შეიტყვეთ პროექტის „ბრილიანტის გამოწვევა“ შესახებ?

— დელავერის უნივერსიტეტი, ერთ-ერთი წამყვანი სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებელი ქალაქ უილმინგტონში მდებარეობს და ცნობილია კვლევითი საქმიანობითა და ინოვაციური ტექნოლოგიების განვითარებით აშშ-ი. აღნიშნული უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული კონკურსი „ბრილიანტის გამოწვევა“ (Diamond Challenge) ყოველწლიური საერთაშორისო სასწავლო პროგრამაა, რომელიც 14-18 წლის მოსწავლეებს შესაძლებლობას აძლევს, საკუთარი ინოვაციური იდეები მსოფლიო ასპარეზზე წარმოადგინონ. კონკურსის საპრიზო ფონდი 100,000 აშშ დოლარს აღემატება, რაც გამარჯვებულებს პროექტების განვითარებაში ეხმარება.

2022-2023 სასწავლო წელს მოსწავლეთა ჯგუფმა ჩემი მენტორობით მონაწილეობა მიიღო პროექტში „ბრილიანტის გამოწვევა“, თუმცა, სათანადო გამოცდილების ნაკლებობის გამო მომდევნო ეტაპზე ვერ გადავედით. მიმდინარე სასწავლო წელს კი დელავერის უნივერსიტეტმა ვირტუალური თანამშრომლობა (კონკურსის შეფასების ფორმის ნევრობა ონლაინ რეჟიმში) შემოიტანა, როგორც მრჩეველ პედაგოგსა და მოსწავლეებთან საპროექტო მუშაობაში მუდმივად ჩართულ პირს; მონაწილეობა მივიღე 6 სხვადასხვა ქვეყნის მოსწავლეთა ჯგუფების პროექტების შეფასებაში, რამაც საერთაშორისო თანამშრომლობის უდიდესი გამოცდილება შემძინა.

რაც შეეხება „ინოვაციურ მოსწავლეთა მსოფლიო სამიტს“ ახალგაზრდა ლიდერებისა და ნოვატორი ბავშვებისთვის, სამიტის მისიაა ხელი შეუწყოს ახალგაზრდებს დაამყარონ გლობალური კა-

ვშირები თანატოლ ნოვატორებთან და მეწარმეებთან მთელი მსოფლიოდან, ხარისხიანი განათლების ხელშეწყობის მიზნით. როდესაც შევიტყვე 2025 წლის 1-2 მაისს დაგეგმილი სამიტის შესახებ, საკონკურსო კრიტერიუმების მოთხოვნების შესაბამისად, წარვადგინე ჩვენი სკოლის მე-12 კლასის წარჩინებული მოსწავლე, მარიამ ყოჩიაშვილი. ჩემი სარეკომენდაციო წერილი მოიცავდა მოსწავლის აკადემიურ, ლიდერულ, ინოვაციურ მიღწევებსა და მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობებს. რეკომენდაციას თან ერთვოდა ვრცელი დამადასტურებელი დოკუმენტაცია. მარიამმა აპლიკაციას დაურთო 2-წუთიანი ვიდეო, სადაც ინგლისურად ისაუბრა საკუთარ სასკოლო, სათემო, ეროვნულ და საერთაშორისო პროექტებსა თუ კონკურსებში ჩართულობაზე, ლიდერულ უნარებზე, მომავლის ხედვასა და ახალგაზრდების როლზე უკეთესი მომავლისთვის.

— რამ განაპირობა თქვენი არჩევანი, რომ კონკურსში მარიამ ყოჩიაშვილის კანდიდატურა წარვადგინათ?

— დამსახურებული აკადემიური მიღწევებისთვის, ინოვაციური, შემოქმედებითი, ლიდერული უნარების ფლობისთვის, გამორჩეული მოსწავლეობისთვის,

უდიდესი სასკოლო და სათემო წვლილისთვის, ღირსეული პიროვნული თვისებებისა და სანიმუშო მოქალაქეობისთვის მარიამ ყოჩიაშვილმა, „ახალგაზრდა ქართველი ამბასადორის“ სტატუსით, დელავერის უნივერსიტეტის ადმინისტრაციიდან მიიღო საპატიო მონევა 1-2 მაისს, უილმინგტონში სამიტზე დასასწრებად მენტორ (წარმდგენ) მასწავლებელთან ერთად. მარიამი მსოფლიო მასშტაბით 100 საუკეთესო მოსწავლეს შორის შეირჩა სამიტზე ექსკლუზიური მიწვევით ქართველი ახალგაზრდა ელჩის სტატუსით.

— გაამართლა თუ არა ახალგაზრდა ელჩმა თქვენი მოლოდინი?

— მარიამმა თავისი მაღალი ინტელექტითა და ქართული ღირსებებით სანიმუშოდ წარადგინა სკოლა, ქვეყანა და რეგიონი მსოფლიო სამიტზე მრავალრიცხოვანი აუდიტორიის წინაშე. მან არაერთ გუნდურ სამუშაოში წარმოაჩინა ლიდერული შესაძლებლობები და ინოვაციური იდეები, რისთვისაც არაერთხელ დაჯილდოვდა. გაცნობით შეხვედრაზე, სადაც სამიტის პროტოკოლით ყველა ელჩს საკუთარი ქვეყნის ეროვნული მახასიათებელი უნდა წარმოედგინა, მარიამმა ეროვნული ცეკვა შეასრულა, რამაც უდიდესი მოწონება დაიმსახურა.

— როგორი ატმოსფერო იყო ახალგაზრდა ინოვატორთა ფორუმზე?

— სამიტზე გაცივანი მრავალი კოლეგა, უნივერსიტეტების დამფუძნებლები და საზაფხულო ბანაკების ხელმძღვანელები. მათთან კომუნიკაციამ გლობალური თანამშრომლობის უდიდესი გამოცდილება შემძინა, რომელსაც შესაბამისად გამოვიყენებ ჩემს პროფესიაში მომავალი თაობების ფართო დიაპაზონზე წარმა-

ტებულად გასასვლელად და ცხოვრების პროორიტეტული საფეხურების სწორად დასაგეგმად.

— რა მოგცათ ამ პროექტმა თქვენ, როგორც პედაგოგს? ბევრი თვლის, რომ კონკურსებსა და პროექტებში მონაწილეობა მასწავლებლების პიარს უფრო ემსახურება, ვიდრე მათ პროფესიულ განვითარებას. რას იტყვით ამის შესახებ?

— ხშირად ვხვდებით მოსაზრებას, რომ მასწავლებლის აქტიური მონაწილეობა საგანმანათლებლო პროექტებსა და კონკურსებში მხოლოდ საკუთარი იმიჯის გაუმჯობესების (პიარის) მიზანს ემსახურება; თუმცა, მნიშვნელოვანია საზოგადოებაში აღიარება, რომ თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცეში წარმატება, მათ შორის პედაგოგიური, დიდწილად არის დამოკიდებული ევაქტურ კომუნიკაციასა და პროფესიული საქმიანობის სათანადო წარმოჩენაზე.

ეს მიდგომა არ აწინააღმდეგებს განათლების პროგრესს, თავდადებასა და აქტიური საქმიანობის მნიშვნელობას; პირიქით, მოსწავლეთა აკადემიური წარმატება და მშობელთა მაღალი რაზა წარმოადგენს უმთავრეს მოტივაციას, რომელიც მუდმივად მიზანმიმართულ პროფესიულ ზრდისა და განვითარებისკენ. მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოების ნაწილს, შესაძლოა, უჭირდეს სხვათა მიღწევის აღიარებას პროფესიულ ზრდისა და განვითარებისკენ. მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოების ნაწილს, შესაძლოა, უჭირდეს სხვათა მიღწევის აღიარებას პროფესიულ ზრდისა და განვითარებისკენ.

მარიამ ყოჩიაშვილი: „ჩვენი მთავარი მისია მყარი კავშირების დამყარება იყო სხვა ქვეყნის წარმომადგენელ ახალგაზრდებთან.“

— მარიამ, რა პროექტია „ბრილიანტის გამოწვევა“ და როგორ გაიგე მის შესახებ?

— „ბრილიანტის გამოწვევა“ არის კონკურსი, რომელიც მოიცავს ბიზნესსა და მეწარმეობას. ყოველწლიურად საერთაშორისო კონკურსი ინოვაციურ ახალგაზრდულ ინიციატივებს აფინანსებს სოციალური მეწარმეობის მიმართულებით. ბავშვები სწავლობენ პროექტის წერას, ბიზნეს გეგმის შედგენას, ასევე ავითარებენ იმ უნარებს, რაც საკუთარი სანარმოის შექმნაში დაეხმარებათ.

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოდიან ახალგაზრდები თავიანთი მიზნებისთვის და იბრძვიან 12 ათასი დოლარისთვის. ამ კონკურსის შესახებ ჩემმა ინგლისური ენის მასწავლებელმა ეკა სეფიაშვილმა მამცნო.

— როგორ დაინტერესდი ამ პროგრამით?

— ყოველთვის მაინტერესებდა მეწარმეობა, მაგრამ სათანადოდ არ ვიცოდი, როგორ განმეხმარებინა ჩემი იდეები. ამიტომ, როგორც კი პროექტის შესახებ შევიტყვე, მაშინვე გადავწყვიტე მონაწილეობის მიღება.

— რა საფეხურების გავლა მოგიწია



კონკურსში გასამარჯვებლად?

— კონკურსში მონაწილეობისთვის ჩავწერე 2 წუთიანი ვიდეო, სადაც ვისაუბრე ჩემს მიღწევებზე, არაფორმალური განათლების კუთხით ჩატარებულ აქტივობებზე და ყველა ჯილდოზე, რაც კი ოდესმე მიმიღია, და რაც მთავარია, ჩემს ლიდერულ უნარებზე.

— რას ითვალისწინებდა ახალგაზრდა ელჩის სტატუსი?

— ჩვენ, როგორც ახალგაზრდა ელჩები, გვევალებოდა საკუთარი ქვეყნის საერთაშორისო ასპარეზზე წარმოჩენა, გვევალებოდა ყველა ტრენინგსა თუ კონფერენციაზე დასწრება და აქ მიღებული ცოდნის თუ გამოცდილების სხვებისთვის გაზიარება. ჩვენი მთავარი მისია კი მყარი კავშირების დამყარება იყო სხვა ქვეყნის წარმომადგენელ ახალგაზრდებთან.

— რომელი ქვეყნის წარმომადგენლები იმყოფებოდნენ ამერიკაში თქვენთან ერთად?

— აღნიშნულ კონფერენციაში ჩართული იყო 20 ქვეყანა. გაცივანი ბავშვები ავსტრალიიდან, იაპონიიდან, ფილიპინებიდან, თურქეთიდან, დიდი ბრიტანეთიდან და სხვა.

— როგორც ვიცით, კულტურათა შორის დიალოგის ფარგლებში შენ საქართველო წარმოადგინე და გააცანი იქ მყოფთ. როგორი იყო მათი შთაბეჭდილება?

— კულტურათა გაცვლა უდაოდ ფუნქციონალური პროცესი იყო, ვერ აღვწერ, თუ როგორი დიდი ინტერესი გამოიჩინეს საქართველოს მიმართ. აღვრთოვანებულები დარჩნენ ქართული ცეკვით. „ვიცოდით, რომ ქართული ცეკვა ლამაზი იყო, მაგრამ ასეთი სინაზითა და დახვეწილობით თუ გამოირჩეოდა, ვერასოდეს წარმოვიდგენდით“—აი, რა მითხრეს ჩემმა ავსტრიელმა და იაპონელმა მეგობრებმა. აღსანიშნავია ისიც, რომ ცეკვა ნახეს დელავერის უნივერსიტეტის სათაო ოფისის წარმომადგენლებმა. როგორც კონფერენციის კურატორმა მახარა, ისინი განსაკუთრებული ინტერესითა და აღფრთოვანებით შესცქეროდნენ მას. მართლაც სახალისო იყო, თუ როგორი მონადინებითა და თავდადებით ცდილობდნენ სიტყვის — „დედოფლისწყარო“ თქმას.

— როგორი ქვეყანაა აშშ და რა მოგცა იქ გატარებულმა დრომ?

— აშშ არის ოცნებების ასრულებისა და თავისუფლების ქვეყანა. რაოდენ უცნაურად არ უნდა ჟღერდეს, თვით ჰერმეც კი იგრძნობა „თავისუფლების სუნი“. სიცოცხლე ყვავის, ხალხი ჭიანჭველებით დაფუხფუხებს ქუჩებში, ყველას სადღაც ეჩქარება, ყველა სამუშაოდ გარბის და ამ დაუღალავ ჟამთა ბრუნვამაც კი არ ავინყდებთ ადამიანობა - ამერიკელები ყურადსაღები სტუმართმოყვარეობით გამოირჩევიან, არაფერს დაგტოვებს ნაქცეულს, ყველა დახმარების ხელს გინვდის, ყველა გილიმის და ამ ელემენტარული ჟესტით დღეს გილამაზებს. იქ გატარებულმა დრომ მასწავლა დამოუკიდებლობა, კრიტიკული აზროვნება, მეგობრობა და იმის დაფასება, რაც მაქვს; მასწავლა ჩემი ქვეყნის სიყვარული და დამანახა ჩვენი კულტურის ფასი.

— პროექტში „ბრილიანტის გამოწვევა“ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ახალგაზრდა თაობა მონაწილეობდა, რითი იყვნენ გამორჩეულები სხვა ახალგაზრდები და რა ისწავლეთ ერთმანეთისგან?

— მონაწილე ახალგაზრდები იყვნენ მიზანდასახულები, პრომისმოყვარენი, მეგობრულები, პატივს სცემდნენ ურთიერთს, არ იგრძნობოდა კონკურენცია. ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც მათ მასწავლეს, არის ფრაზა: „არ დანებდე!“ გამარჯვებული ერთი იყო, მაგრამ არავის ჩამოუშვია ცხვირი, არავის ჩაუქნევია ხელი და არავინ გავარდნილა ტირილით. მათ მასწავლეს დამარცხების მიღება და მასწავლეს, რომ „რაც არ გკლავს, გაძლიერებს“.

— როგორ მიგაჩნია, როგორია ქართული განათლების სისტემა და რა გამოარჩევს მას ამერიკული განათლების სისტემისგან?

— ჩემი ყველაზე დიდი შენაძენი ამ პროექტში სწორედ ეს იყო. ამერიკაში განათლების სისტემა სრულებით მორგებულია ახალგაზრდების ინტერესებს, მათ შეხედულებებსა და მისწრაფებებს.

/დასასრული გვ 5/

სსოპრების სანიტარისო თავგადასავლები

ამ წუთებშიც გარეთ მანქანების გაბმული სირენების ხმა ისმის. მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ სკოლაში ბოლო ზარი დაირეკა, ასე გრძელდება ერთი კვირა... მოსწავლეები ცხოვრების ახალ საფეხურზე გადადიან და ამას ტრადიულად ზეიმის სახე აქვს მიღებული.

ბოლო ზარი – ეს არ არის მხოლოდ ოფიციალური ცერემონია, არამედ ცხოვრების მნიშვნელოვანი გარდატეხის სიმბოლო. იგი სკოლაში გატარებული წლებით ფორმირებულ თაობას, ბავშვობასა და მოზარდობას ემშვიდობება. ეს დღე ახალ ეტაპზე გადასვლის დასაწყისს აღნიშნავს, რაც ახალგაზრდებისთვის ერთდროულად ამბულგებულებიდან და მომავლის წინაშე პასუხისმგებლობის შეგრძნებასაც აჩენს.

ახალგაზრდებისთვის ბოლო ზარი ემოციურად დატვირთული მოვლენაა. წლების განმავლობაში მეგობრებთან, მასწავლებლებთან და სკოლასთან დაკავშირებული

დოგმა თავის 13 კურსდამთავრებულს – თაობას, რომელმაც წლების წინ პირველად შემოაბიჯა ამ კედლებში სუფთა, ცნობისმოყვარე თვლებით და სიბოროტ მოლოდინით.

ბოლო ზარი ყველას გვახსენებს, რომ დრო მოვიდა – დრო, როდესაც წარსული უნდა ჩავიტოვოთ ბავშვობის თვალბეჭდვით მოგონებებში და მტკიცე ნაბიჯით დავედგეთ მომავლის გზას.

ძვირფასო კურსდამთავრებულებო, თქვენ გელოდებათ ახალი ცხოვრების კარი, რომელსაც თავად უნდა მოარგოთ გასაღები თქვენი შრომით, რწმენითა და თავდადებათ.

დღევანდელი ზარი რეკავს თქვენთვის, უკვე როგორც დამოუკიდებელი, მოაზროვნე ადამიანებისთვის.

ამ გზის მნიშვნელოვან თანამგზავრებად თქვენ გყავდათ მასწავლებლები, რომლებიც ყოველთვის იდგნენ თქვენს გვერდით, რომ გქონოდათ უკეთესი ზვალინდელი დღე.

თქვენმა პირველმა მასწავლებელმა ქალბატონმა ეთერ შავერდაშვილმა მიგიღოთ პატარა და დაბნეულები, გასწავლათ ანბანი, წერა-კითხვა და ურთიერთობის პირველი ნაბიჯები. მისი მოთმინება, სიბოროტ და ერთგულება თქვენი განათლების გზის დასაბამად იქცა.

თქვენი კლასის დამრიგებელი ქალბატონი ნონა ბედუკაძე - ვინც თქვენთან ერთად გადაიტანა ყველა წარუმატებლობა და წარმატება, ვინც იყო თქვენი მეორე დედა ამ სკოლაში და ვინც დღესაც, თრთოლვითა და სიამაყით გიყურებთ. სკოლის დირექტორი მაია სიმონიძე, რომლის ძალისხმევით სკოლამ შეძლო თქვენი განვითარებისთვის ღირსეული გარემოს შექმნა – მისი სიმტკიცე და სიბოროტ თითოეულ თქვენგანს თან გაჰყვება.

დირექტორის მოადგილე ციციო ჯაფარიძე – ადამიანი, რომელიც მუდამ ზრუნავდა, რომ სკოლაში ყოფილიყო დისციპლინა, სიყვარული და თანადგომა.

დღეს, როცა ეს ზარი რეკავს ბოლო გაკვეთილის დასასრულელად, გახსოვდეთ – ეს არ არის დამთავრების, ეს არის დასაწყისი. წინ გელით ცხოვრების დიდი გაკვეთილები – სადაც არც დაფა იქნება, არც ზარი, მაგრამ თითოეულ ნაბიჯზე დაგჭირდებათ ის, რაც აქ ისწავლეთ.

ჩვენი გულები თქვენთან რჩება. გახსოვდეთ, თქვენ ჩვენი სიამაყე ხართ და ყოველთვის გელოდებით.

ბედნიერი გზა, ძვირფასო კურსდამთავრებულებო!

გისურვებთ წარმატებას, სიყვარულსა და ნათელ მომავალს!

მე-12

კლასის ბოლო ზარმა განსაკუთრებული მასშტაბითა და შინაარსობრივი დატვირთვით ყველა ალფრთოვანა. მშობლიური სკოლა ემშვიდობება მარიამს, ანას, ხატიას, ეთოს, ბექას, გიორგის, დავითს და კიდევ ერთხელ უსურვებს წარმატებულ მომავალს! გვიყვარხართ უპირობოდ, გლოცავთ გულით და გაფეხვებით სიყვარულით!

ზამთრის საჯარო სკოლა

ზემო მაჩხანის საჯარო

სკოლაში ბოლო ზარი დაირეკა მეთორმეტკლასელებისთვის, რომელიც მათთვის ყველაზე დასამახსოვრებელია, რადგან ახალი ეტაპის დაწყებას გულისხმობს.

გისურვებთ, ყოფილიყავით საამაყო ახალგაზრდები და ღირსეული ადგილი დაიმკვიდროთ ცხოვრებაში.

გილოცავთ!

გაქვრდეთ, რომ სკოლა ყოველთვის იქნება თქვენი სიხარულის და წარმატების თანაზარი და მუდამ ვიამყებთ თქვენით!

დამოფლისწყაროს №2 საჯარო სკოლა

ქ. დედოფლისწყაროს №2 საჯარო სკოლის, 2024-25 სასწავლო წლის კურსდამთავრებულებო!

ჩვენო ძვირფასებო, დღეს განსაკუთრებული დღეა თქვენს ცხოვრებაში, სიხარულის, აღმადრენის, ცოტა გაურკვეველობის, სევდისა და მომავლის იმედების დღე. დღე, როცა ერთი ეტაპი მთავრდება და მეორე, სიახლეებით დატვირთული მომავალი იწყება, რომლის შემქმნელებიც თავად თქვენ იქნებით.

ღირსეულად გვევლით მომავალში, ჩვენი კი თქვენი მუდამ გვეამყოს, გზას დაგილოცავთ!

ზამთრის საჯარო სკოლა

მეთორმეტე კლასელებო, თქვენთვის სასწავლო წლის ბოლო დღეს დაირეკა ბოლო ზარი... ბოლო ზარი ემოციებითა და შთაბეჭდილებებით. სკოლის კედლებში მიღებულ ცოდნას, გვეჯერა, სწორად გამოიყენებთ. მუდამ გახსოვდეთ, რომ ადამიანი მხოლოდ მაშინაა ძლიერი, როცა განათლებულია. იპოვეთ ცხოვრების მიზანი, რესურსი კი მიზნის მისაღწევად ყოველთვის მოიძებნება.

გვინდა, გისურვოთ წარმატებები, წინსვლა, საინტერესო და ბედნიერი ცხოვრების გზა....

სამთაწყაროს საჯარო სკოლა

უჩვეულო ბოლო ზარი - 2025 წელი — ისტორიის ახალი ფურცელი სამთაწყაროს საჯარო სკოლაში.


დღეს სამთაწყაროს საჯარო სკოლაში განსაკუთრებული, ემოციებითა და სიხარულით სავსე დღეა - სკოლას ჰყავს პირველად უჩვეულო პირველი კურსდამთავრებულები!

11-მა მოტივირებულმა მოსწავლემ, რომლებმაც მრავალი წლის შემდეგ დიდი მონდომებით ჩააბარეს გამოცდები, წარმატებით დაასრულა სკოლა და იქცა სკოლის ისტორიის ნაწილი. სწორედ მათი მიზანდასახულობისა და შეუპოვრობის წყალობით პირველად სკოლის ისტორიაში შეიქმნა უჩვეულო მე-12 კლასი.

მათ წარმატებაში უდიდესი წვლილი მიუძღვით სკოლის დირექტორს, ქალბატონ ეკატერინე ჩიტაურს, რომლის მხარდაჭერითაც შესაძლებელი გახდა მე-12 კლასის გახსნა და სრულფასოვანი სასწავლო პროცესის უზრუნველყოფა.

განსაკუთრებული მადლობა კლასის დამრიგებელს, ქალბატონ ელენე გრიგორიადისს - მისი თანადგომითა და მოყვარულობით მოსწავლეებმა შეძლეს ყველა სირთულის გადალახვა და მიზნის მიღწევა.

დასკვნით ღონისძიებაზე მოსწავლეებმა, კლასის დამრიგებლის ხელმძღვანელობით, წარმოადგინეს მრავალი ლექსი, სიმღერა, ცეკვა და სცენური დადგმა,



რომლებმაც დიდი სიყვარული და ემოცია გამოიხატა დამსწრე საზოგადოებაში. თითოეული გამოსვლა გულით იყო შესრულებული და დამსწრეების გულებამდე გზას პოულობდა.

კლასის დამრიგებელმა ორიგინალურად მიულოცა თითოეულ მოსწავლეს სკოლის დამთავრება — აღნიშნა მათი უნიკალურობა, შრომისმოყვარეობა და ინდივიდუალური ნიჭი. სკოლის დირექტორმა მათ წარმატება უსურვა ამხელა მიზნის მიღწევისთვის და მოუწოდა, მუდამ წინ იარონ მტკიცე ნაბიჯებით.

ღონისძიების დასასრულს სკოლის დირექტორმა და კლასის დამრიგებელმა კურსდამთავრებულებს გადასცეს სპეციალურად მომზადებული სამახსოვრო სიგელები — მადლობის ნიშნად მათი მონდომებისა და სკოლის ისტორიაში მნიშვნელოვანი წვლილისთვის.



განსაკუთრებული ემოციებით აღინიშნა ის მომენტიც, როდესაც კურსდამთავრებულთა შვილებმა მშობლებს სკოლის დამთავრება თბილად, იუმორითა და სიყვარულით მიულოცეს.

ტრადიცია წელსაც არ დაირღვა — მოსწავლეების თეთრი ზედები სკოლის ამჟამინდელმა მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა სამახსოვრო წარწერებით შეამკეს. თითოეული სიტყვა სიყვარულის, მადლიერებისა და მომავლის რწმენის გამოხატულება იყო.

გილოცავთ სკოლის დამთავრებას! თქვენ ხართ მაგალითი იმისა, რომ სწავლისათვის ასაკს მნიშვნელობა არ აქვს და მიზნის მიღწევა ყოველთვის შესაძლებელია შრომით, მხარდაჭერითა და რწმენით. გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, წარმატებებსა და მუდამ მზიან მომავალს!

იყავით მოტივაცია სხვებისთვის და არასდროს შეწყვიტოთ ოცნება!

მომზადდა
N666 შიოლაშვილმა



უამრავი მოგონება ერთ დღეში გროვდება. ბევრისთვის ეს არის მადლიერების გამოხატვის და დამშვიდობების შანსი — ადამიანებთან, რომლებმაც მათი პიროვნების ფორმირებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს.

ბოლო ზარის დღეს განსაკუთრებით იგრძნობა კოლექტიური ერთიანობა. დამთავრებული კლასის მოსწავლეები თანატოლებთან ერთად, საზეიმო ფორმაში გამოწყობილები, ხშირად გრძნობენ სიამაყეს, სევდას, მღელვარებას და მოტივაციას ერთდროულად. იწყება ცხოვრების ახალი ეტაპი — უმადლესი განათლება, პროფესიული არჩევანი ან სხვა გამოწვევები, რაც ამ დღეს კიდევ უფრო მნიშვნელოვნად აქცევს.

ბოლო ზარი არა მხოლოდ წარსულის შეჯამებაა, არამედ მომავლისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯი. ის აერთიანებს ტრადიციებს, პერსონალურ ემოციებსა და კოლექტიურ გამოცდილებას. ეს დღე ერთგვარად გვახსენებს, რომ ყოველი დასრულება ახალი დასაწყისის საწყისია — და ეს არის იმედის, განვითარებისა და მომავლისკენ მიმართული გზავნილი ყველა ახალ სკოლადამთავრებულისთვის.

არხილოსკალის საჯარო სკოლა

დღევანდელი დღე განსაკუთრებულია — სავსე სიხარულითა და სევდით ერთდროულად.

არხილოსკალის საჯარო სკოლა ემშვი-



მართვები «ახალგაზრდა ელჩი» ამერიკაში

/მეოთხე გვერდიდან/

სხვათა შორის, ბევრი ვისაუბრეთ სკოლაზე და, როგორც აღმოჩნდა, ამერიკაში ბავშვების უფლებები ზედმიწევნითაა დაცული. მაგრამ მე თუ მკითხავთ, საქართველოს განათლების სისტემასაც აქვს თავისი ძლიერი მხარეები:

ის ორიენტირებულია მასალის ღრმა და საფუძვლიან ათვისებაზე. ამერიკაში, უნივერსიტეტში მოსახვედრად, ხშირ შემთხვევაში, საჭიროა მხოლოდ სკოლის ნიშნები, სასკოლო აქტივობები და არაფორმალურ განათლებაში მიღწეული წარმატებები.

— გაუზიარე თუ არა შენი შთაბეჭდილებები და იქ მიღებული გამოცდილება შენს მეგობრებს?

— რასაკვირველია, ჩემი გამოცდილება თანატოლებსაც გავუზიარე და ბევრს გაუჩნდა ამ პროექტში მონაწილეობის სურვილი.

— მარიამ, რას ურჩევდი შენს თანატოლებს, რა უნდა გააკეთონ, რომ წარმატებულები იყვნენ?



— წარმატების მზა ფორმულა არ არსებობს, მაგრამ ჩემი რჩევა იქნება, რომ არასოდეს დანებდნენ. რამდენჯერაც დაეცემიან, იმდენჯერ წამოდგნენ და, რაც მთავარია, არ დაიზარონ რაღაც

ახლის გაკეთება, გამოვიდნენ კომფორტის ზონიდან და არ შეეშინდეთ ექსპერიმენტების, მუდამ ეხსრადდნენ უკეთეს ზვალინდელ დღეს, რადგან ვერასდროს მიაღწევთ წარმატებას, თუ ჯიბეში ხელებს ჩაიწყობთ და იტყვიან - „მეტი რა ვქნა!“ დიახ, სწორედამ რომ მეტი უნდა ქნათ, არ დაკმაყოფილდეთ მცირედით, რადგან „ქარის მოტანის ისევ ქარი ნაილებს“, ბოძოლა კი გამოცდილებას გძენს და თან გზრდის.

— რას ფიქრობ, რა თვისებები გაქვს, რომლებმაც განაპირობა შენი წარმატება, როგორია შენი თვალთი დანახული მარიამი? დაახასიათე საკუთარი თავი...

— ვარ მიზანდასახული, არ ვკმაყოფილდები მცირედით. არ მიყვარს უპასუხისმგებლობა და მუდამ ველტვი სიახლეს. მიყვარს აქტიური ცხოვრება და არაფორმალური განათლება. დროს კარგად ვანალიზებ, ცოტა ხანს ვატარებ სოციალურ ქსელებში, მიყვარს ნიგნების კითხვა. მიყვარს ადამიანები და ვცდილობ, არასოდეს ვიყო ქედმაღალი.

— როგორ ქვეყანაში ისურვებდი ცხოვრებას და რის გაკეთებას გეგმავს თაობა, რომელსაც სოციალურმა სივრცემ და გლობალიზაციამ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნისა და კულტურის ახლოდან გაცნობის შესაძლებლობა მისცა?

— მეც და ჩემს თანატოლებსაც გესურს ისეთ ქვეყანაში ცხოვრება, სადაც არის ბედნიერება, თანასწორობა და ფასდება შრომა. გვინდა, რომ ვიცხოვროთ ისეთ საქართველოში, რომელიც მოწინავე იქნება გლობალურ ბაზარზე და გამორჩეული განათლების მაღალი ხარისხით.

გაზეთი „შირაქი“ ულოცავს საერთაშორისო წარმატებას მარიამსა და ეკას და კვლავაც ბევრ პროექტში გამარჯვებას უსურვებს მათ. ჩვენი ქვეყნისა და მუნიციპალიტეტის ღირსეულად წარმოჩენა საერთაშორისო ასპარეზზე ხომ ძალიან მნიშვნელოვანია.

ესაუბრა

N666 შიოლაშვილი



გზავნილები მომავალში ძველი წერილები, ახალი ემოციები

ეროვნულმა არქივმა გახსნა 25 წლის წინ დალუქული სკივრი, სადაც მოქალაქეები საყვარელ ადამიანებს წერილებს მომავალში უგზავნიდნენ. 40-მდე ასეთი წერილია დედოფლისწყაროელებისთვისაც. გაზეთი „შირაქი“ ბევრ მათგანს დაუკავშირდა და ემოციებზე ესაუბრა. ბევრმა წერილების არსებობა ჩვენგან შეიტყო, ზოგს წერილი ჯერ არ გამოუტანია, დანარჩენებმა კი შთაბეჭდილებები გაგვიზიარეს.

დედოფლისწყაროში მცხოვრებმა ხვთისო დაპითაშვილმა და მისმა მეუღლემ შვილიშვილებისთვის მომავალში ორი წერილი გაგზავნეს. ერთი გიორგი და თამარ ფიროსმანაშვილებმა მიიღეს, მეორე კი ხვირა დავითაშვილმა. წერილის გაგზავნიდან 6 წელში ხვთისო გარდაიცვალა, თუმცა მისი გზავნილი ადრესატამდე მანძი მივიდა. „ჩემო საყვარელო შვილიშვილებო, გილოცავთ მესამე ათასწლეულის დადგომას, ქრისტეშობის 2000 წლისთავს და 21 საუკუნის შემობრუნებას. ეს ახალი საუკუნე ყოფილიყო თქვენთვის ბედნიერების მომტანი, ახალი მიზნებისა და ჩანაფიქრის განხორციელებაში, სწავლასა და შრომაში. ყოფილიყავით თქვენი სიყვარულის, სამშობლოს, საყვარელი და საამაყო შვილები. თავისუფალი და დამოუკიდებელი საქართველოს ნამდვილი და ღირსეული მოქალაქენი.

„დიდხანს იცოცხლეთ შვილებო, ქვეყანას მიჰყუთ რიხითა, არ შეუშინდეთ ცხოვრებას, რომ არ გაგთელთ წიხლითა. ახარეთ თქვენი სამშობლო, სწავლით, შრომით და წინსვლითა, მზე დაგ ნათოდეთ ბრწყინვალე, არ დაგებუროთ ნისლითა...“

გილოცავთ 2025 წელს თქვენს მთლიან საგვარეულოს, ბიძაშვილ-მამიდაშვილებთან და თქვენს საყვარელ ოჯახებთან და მშობლებთან ერთად.

თქვენი საყვარელი ლეილა ბებო და ხვთისო პაპა

(გაგვიხსენებდით ხოლმე)“.

გიორგი ფიროსმანაშვილი: „წე-


რილის არსებობა არ ვიცოდი, ინტერნეტში სია გამოქვეყნდა და ასე გამოვიტანეთ წერილი. გაირკვა, რომ მეორე წერილიც იყო და ჩემს ბიძაშვილს ეკუთვნოდა. ძალიან ემოციური წერილები იყო. პაპა მომღერალა და მოქიფე კაცი იყო, 2007 წელს გარდაიცვალა, ამიტომაც გადავწყვიტეთ წერილები რესტორანში სუფრაზე გაგვესწა. ეს წერილი მე და ჩემს დას გვეკუთვნის. ახალ წელსა და ახალ საუკუნეს გვილოცავს, ძირითადად სამშობლოს სიყვარულისკენ მოგვინოდებს. ძალიან კარგი პროექტია, თუ საშუალება მომეცა მეც ჩავერთებო.“

სამრეკლოში მცხოვრებმა ნანა ჭუჭულაშვილმა წერილი შვილიშვილებს გაუგზავნა. დღეს ის ცოცხალი აღარ არის, თუმცა ადრესატებმა გზავნილი რამდენიმე კვირის წინ მიიღეს.

ქათი ჩაშვიშვილი: „პროექტის შესახებ მას შემდეგ გავიგე, რაც სოციალურ მედიაში რამდენიმე მეგობრის პოსტი შემხვდა. წარმოვიდგინე, რა ემოციური იქნებოდა წლების წინ დაწერილი წერილის გახსნა და დროში მოგზაურობა. თუმცა, რატომღაც თავიდან არ მიფიქრია, რომ ჩემი მისამართითაც შეიძლება ყოფილიყო მსგავსი გზავნილი. რამდენიმე დღეში მეგობარმა შემატყობინა, რომ ადრესატთა გვარებს შორის ჩემი გვარი იპოვა. მეც გადავამოწმე და აღმოვაჩინე ჩემი და ჩემი ძმის, ასევე ჩემი ბიძაშვილების სახელზე გამოგზავნილი ორი სხვადასხვა წერილი. თითქმის დარწმუნებული ვიყავი, რომ ნანა ბებოსგან იქნებოდა, რომელმაც დაახლოებით სამი წლის წინ დაგვტოვა. მას ახასიათებდა დღიურების წარმოება, წერილების წერა და მოგონებების სხვადასხვა ორიგინალური ფორმით შე-

ნახვა. თითოეული შვილიშვილის დაბადების ქრონიკებიც დეტალურად აქვს აღწერილი დიდ წითელ რეგულში, რომელიც დღეს ჩვენი ოჯახის რელიკვიაა. უცნაური და ორმაგად ემოციური იყო, რომ გარდაცვლილი ბებოსგან წერილი სწორედ იმ დღეებში მივიღე, როდესაც მეორე ბებო რეანიმაციაში სიცოცხლეს ებრძოდა. ბოლოს კი ციკო ბებომაც დაგვტოვა. იმდენად მძიმე დღეები მიჰყვა ერთმანეთს, რომ კარგა ხანი ვერ გამოვწვანე ჩემს თავში ძალა, წერილი გამეხსნა. სულ ცოტა ხნის წინ ჩემს ძმასთან ერთად გავგედე მისი გახსნა და ნაკითხვა.

წერილი 2000 წლის 31 დეკემბერსაა დაწერილი, როცა მე 4 წლის ვიყავი, გიგა კი - რამდენიმე თვის. ბებო გვილოცავს ახალი წლისა და ათასწლეულის დადგომას, გვეფერება და ქვეყანაზე არსებულ ყველა სიკეთეს გვოსურებს. ამბობს, რომ ძალიან რთულ ყოფას ჩვენი არსებობა უცისკროვნებს. ყველაზე მტკივნეული შემდეგი სიტყვები იყო: „ალბათ ამ წერილს რომ მიიღებთ, მე უკვე სხვა პლანეტაზე ვიქნები“. იქვე გვებოძებოდა, რომ ფულს ვერ გვიგზავნიდა, რაზეც ძალიან გავგეცინა. ნუთუ ეგონა, რომ მის სიტყვებსა და დალოცვებზე ძვირფასი რამე შეიძებოდა ყოფილიყო. კითხვისას ერთმანეთში არეული ძალიან ბევრი ემოცია დამეფულა. ერთი ბებოს გარდაცვალებით გამოწვეული ტკივილი თითქოს მეორემ შემიმსუბუქა წარსულიდან



გამოგზავნილი წერილით, ისევე როგორც ნანა ბებოს გარდაცვალებისას ციკო ბებო იყო ჩვენი ყველაზე დიდი მხარდამჭერი და იმედი. კიდევ ერთხელ დამაფიქრა სამყაროს კანონზომიერებებმა, რომ არაფერია შემთხვევითი და უმიზეზო. მიუხედავად იმისა, რომ ჩემი ტკბილი ბებიკოები ფიზიკურად ჩემ გვერდით აღარ არიან, ყოველ წამს ვგრძნობ მათთან კიდევ უფრო ძლიერ კავშირსა და მათ უპირობო მხარდაჭერას, რომელიც ყველა დროსა და სივრცეს სცდება“.

ქვემო ქედიდან თამარ ციხიშვილმა და მურთაზ ხუცურაულმა წერილები მომავალ შვილებს ერთდროულად გაუგზავნეს. ადრესატებმა მათ დაბადებამდე დაწერილი წერილები უკვე მიიღეს და ერთმანეთს ემოციებით გაუზიარეს.

თამარ ციხიშვილი: „მე და ჩემმა მეუღლემ ორი წერილი მომავალი შვილებისთვის დავწერეთ. რა თქმა უნდა გვახსოვდა ეს წერილები, მაგრამ როგორც კი სკივრის გახსნის ინფორმაცია გასაჯაროვდა და სიბები გამოქვეყნდა, მალევე მივაკითხეთ და წერილები გავიტანეთ. მურთაზის წერილი უფროსმა შვილმა გახსნა, რადგან მხოლოდ მას ეკუთვნოდა. ჩემი წერილი კი ყველამ ერთად წავაკითხეთ... ამ თაობის გაცემა დღეს ძალიან რთულია, მაგრამ ყველა გავმხიარულდით. ძალიან კარგი პროექტია, თუ კიდევ გაგრძელდება, სურვილი გვაქვს კიდევ ჩავერთოთ. იდეა თავიდანვე მოგვეწონა, არაჩვეულებრივი და საინტერესოა ძველი სკივრის 25 წლის შემდეგ გახსნის ემოცია.“

ივანე ჩონგურაშვილი 11 წლის წინ გარდაიცვალა, თუმცა, მის მიერ სამი შვილისთვის გაგზავნილი წერილი ადრესატთან რამდენიმე კვირის

წინ მივიდა. ზურაბ, დავით და ლევან ჩონგურაშვილებმა მამის ემოციური წერილი უკვე წაიკითხეს და ამ პროექტის დახმარებით დიდი ხნის წინ გარდაცვლილი მშობლის საუბარი ამ რეალბაში მოისმინეს.

დავით ჩონგურაშვილი: „მამა 2014 წელს გარდაიცვალა, თუმცა ხშირად გვეუბნებოდა, რომ მისგან მომავალში წერილს მივიღებდით. ასე რომ, ამ პროექტის შესახებ ვიცოდით და დიდი ხანია ველოდით... ამჟამად მე საზღვარგარეთ ვიმყოფები, ამიტომ წერილი ჩემმა ძმამ, ლევანმა გამოიტანა. კიდევ ერთ წერილს ველოდებით შემდეგ წლებში, როგორც ვიცი, მეორე სკივრშიცაა წერილი, რომელიც 2035 წელს უნდა გაიხსნას.“

ახლადდაბადებულ თაზო ინასარიძეს წერილი დედამ დაუწერა. მამის ის სულ რამდენიმე თვის იყო, ახლა თავადაც მშობელი და წარსულიდან გამოგზავნილ დედის რჩევა დარიგებებს სულ მალე გაეცნობა.

ნინო ზურაშვილი: „მახსოვს, მაშინ ძალიან საინტერესოდ ჩავთვალე და უჩვეულო გამონგევად მივიღე

ეს პროექტი. ეს იყო 1999 წელი, სრული უარაფრობა ქვეყანაში, რადროსაც ერთი ნათელი წერტილი ბიჭი გაჩნდა მე და ჩემი მეუღლის ცხოვრებაში. ოჯახის ყველა წევრი სიხარულით მე-9 ცაზე ვიყავით. ხომ წარმოგიდგენიათ, პირველი შვილიშვილი რა იქნებოდა... მისაროდა, შირადი ბედნიერების არსებობა და შემდგომ საინტერესო იყო, მომავალში გასაუბრების შანსი რომ

მომეცა. ამიტომაც, გაუცნობიერებლად ჩავერთე ამ პროექტში. ახლანდელი გადასახედიდან ბევრი რამეა შეცვლილი, მაშინ კი ისეთი დრო იყო, საინტერესო სიახლეს გვთავაზობდნენ და ახლადშეძენილი ვაჟის გამო ჩავერთე. არავინ ვიცოდა რა იქნება მომავალში, მართლაც პაპები და ერთი ბებო აღარც კი არიან ცოცხლები, დღეს მხოლოდ ერთი ბებიაა. დიდი დრო გავიდა. სიმართლე გითხრათ, ნამდვილად არ მახსოვს, რა დავწერე... წერილის არსებობაც დავიწყებული მქონდა. ნამდვილად სასიამოვნო ემოცია იყო, როცა გავიგე, რომ ეს მომავლის წერილი არსებობდა და მერე აღვიდგინე, რომ ჩემი დაწერილია. მოუთმენლად ველოდები წერილის გამოტანას, დარწმუნებული ვარ უფრო ემოციური იქნება ის, თუ რა ეწერება“.

სოფელ ქვემო ქედში მცხოვრებმა მედიკოსმა რაზიან ბარბაქაძემ 25 წლის წინ წერილი გაუგზავნა მის პირველ შვილიშვილს მირიან ბარბაქაძეს. ბებო ახლა ღრმად მოხუცია, აღარც ჯანმრთელობა უწყობს ხელს. ადრესატმა კი წერილის არსებობის შესახებ ინტერნეტით შეიტყო და მალევე გამოიტანა. ამბობს, რომ წერილი ძალიან ემოციური იყო და ამ პროექტმა ძალიან გაახარა.

მარიკა ქუჭარაშვილი: „წლების წინ, როცა ეს საინტერესო პროექტი გამოცხადდა მაშინვე დავინტერესდები. მართლა საინტერესო სიახლე და იდეა იყო, არავინ ვიცოდა, ვიქნებით თუ არა ცოცხალი 25 წლის შემდეგ, ამიტომაც სურვილი გამიჩნდა მომავლის გზავნილი დამეწერა. ადრესატად პატარა ძმისშვილი ნინო ავირჩიე და მხოლოდ მას გავუგზავნე. არ მეგონა ეს პროექტი

თუ ასე გაამართლებდა, ამხელა გამომხატვრება ექნებოდა და ამდენ დღეებით ემოციას მოიტანდა. წერილი რომ გავგზავნე და წლები გავიდა, სიმართლე გითხრათ, გადამაგონყდა, აღარც მის გახსენება, რომ უკვე ამ წერილები გახსნის დრო დადგა. გამიხარდა, როცა გავიგე, რომ ჩემმა ძმისშვილმა წერილი უკვე გამოიტანა და ძალიან გაახარებული იყო. წერილში ვწერდი, რომ ერთმანეთი უყვარდეთ, ძირითადად დედამიშვილებს ვაძლევ რჩევებს, როგორ იცხოვრონ უკეთესად და რომ ერთმანეთს უნდა მოუფრთხილდნენ. მაშინ მეგონა, რომ ამ დროისთვის უკვე აღარ ვიქნებოდი და ამ პათოსითაა წერილი შედგენილი. ვიტყვოდი, რომ ამ პროექტმა ძალიან გაამართლა, ძალიან კარგი იდეაა და უამრავი ემოცია ახლავს.“

ნინო ქუჭარაშვილი: „ვიცოდი წერილის არსებობა, დიდი ხნის წინ მამიდამ მითხრა, შენს სახელზე დავწერეო. კონკრეტულად არ მახსოვდა, რომელ წელს უნდა გამომეტანა, მაგრამ მოლოდინი მქონდა. თქვენს მიერ გამოქვეყნებული ინფორმაცია და სია ვნახე, მიგხვდა, რომ ჩემთვის იყო წერილი და მალევე გამოვიტანე. მართლა კარგი პროექტია, კარგია თუ გაგრძელდება. წერილი ჩვენდამი მისი სიყვარულზე იყო და კიდევ დარიგება იყო, თუ როგორ უნდა გვეყვარებოდა ერთმანეთი და გვეზრუნა ერთმანეთზე. ძალიან პოზიტიური და საყვარელი წერილია. ემოციური იყო მისი ნაკითხვა.“

ნათელა ბუთხუზი (არხილოსკალო): „თბილისში სტუმრად ვიმყოფებოდი, როდესაც ამ პროექტის შესახებ გავიგე. რაღაც ახალი და საინტერესო იყო, ამიტომ უჩვეულო შემთავაზებით დავინტერესდი. ცნობისმოყვარეობამ დამანერინა წერილი. ვფიქრობდი, ამ დროისთვის რა იქნებოდა. მაშინ რა დრო იყო და მერე რა ცხოვრება მოვიდოდა. პარალელების გავლება მინდოდა. ნამდვილად არ მახსოვს შინაარსი, ვერ გატყვით რა დავწერე, ალბათ მაშინ რა ხასიათი და ემოციაც მქონდა, ის გადმოვეცი. საგარეოდ, რჩევებსაც მივცემდი. ადრესატად მომავალი შვილიშვილები ავირჩიე და მივუთითე, რომ წერილი სამივე ქალიშვილის შვილს მიეღო. მაშინ მეტი შვილიშვილის მოლოდინი მქონდა, ვფიქრობდი, რომ უფრო დიდი ასაკის მეყოლებოდნენ. ახლა კი, ამ დროისთვის ერთი შვილიშვილი მყავს, 6 წლისაა. წერილიც მას ეკუთვნის, მაგრამ ჩემს შვილებს ჯერ არ გამოუტანიათ. სახალისო და ემოციური პროექტია, მივესალმები ამ ინიციატივას. რამდენი ადამიანი ჩაერთო, რამდენმაც საერთოდ არ იცოდა წერილის არსებობა და მოულოდნელად გაახარეს.“

არბოშიკი შორანა და ლეკო გონაშვილასაც წერილი მშობლებმა გაუგზავნეს. ადრესატებს კონკრეტი ჯერ არ გაუხსნიათ და წინ ემოციების ზღვა ელოდებათ.

ლალი ჯამალაშვილი: „საინტერესო პროექტი იყო, ყველამ აიტაცა და მეც სიამოვნებით ჩავერთე. გაზეთებს დღემდე ინტერესით ვეცნობი, მაშინ უფრო მეტად ვკითხულობდი, რადგან ინტერნეტი არ იყო. მინდოდა ჩემი შვილებისთვის მომავლის წერილი გამეგზავნა, რომლებიც იმ დროისთვის პატარები იყვნენ, სულ რაღაც 4-5 წლის... სხვანაირი დრო გვექონდა, გაჭირვებული ცხოვრება იყო. ახლა ბევრი რამ შეიცვალა, შვილებიც გაიზარდნენ, თავისი ცხოვრება აქვთ, შვილიშვილებიც შეგვმატა. ნამდვილად არ მახსოვს, რა დავწერე, მაგრამ ძირითადად რჩევებს ვაძლევ შვილებს. ჯერ ვერ მოვახერხეთ წერილის გამოტანა, მაგრამ აუცილებლად წამოვიღებთ...“

სიცილის სამკურნალო თვისებები ოდითგანვე იყო ცნობილი: აძლიერებს იმუნურ სისტემას, ზრდის ენდორფინის რაოდენობას, თრგუნავს სტრესს და ხელს უწყობს ადამიანის ჯანმრთელობას. სიცილი წამალია, რომლითაც უზომოდ და თავმჯდომარეობადად უნდა ვისარგებლოთ. ბავშვები დღეში დაახლოებით 400-ჯერ იცინიან, რაც მთავარია უმიზეზოდ. ხოლო, დიდები მხოლოდ 10-15-ჯერ. ნეიროფსიქოლოგები ამტკიცებენ, რომ 1 წუთიანი ჯანსაღი სიცილი 40 წუთიანი ვარჯიშის, ან მედიტაციის ეკვივალენტურია. დასაწინაა, რომ ასეთ „შინაგან განძს“ სათანადო ყურადღებას არ აქცევენ. სიცილი თანდაყოლილი ბუნებრივი უნარია და ადამიანი ერთადერთი ცოცხალი არსებაა, რომელსაც ბუნებამ სიცილის უნარი მისცა.

ფსიქოფიზიოლოგიის თვალსაზრისით, სიცილი არა მარტო რიტმული ამოსუნთქვის უბრალო სერიაა, არამედ ერთგვარი შინაგანი მასაჟია და ორგანიზმის დაახლოებით 80-მდე კუნთს ამუშავებს. ფიზიოლოგიური სიცილი ქვითინის მსგავსია, ღრმა ჩასუნთქვას ხანმოკლე, ინტენსიური ამოსუნთქვა ცვლის, რომელსაც ხმის იოგების რხევა ახლავს. ეს გვეხმარება ფილტვები დაგროვილი ლორწოსგან მთლიანად გასუფთავდეს. სიცილის დროს

სიცილით მკურნალობა

გული ჩვეულებრივზე სწრაფად ცემს. სისხლის ნნევა ჯერ მკვეთრად მაღლა იწევს, მერე კლებულობს, რასაც თან ახლავს კუნთების სრული მოდუნება და გონების დამშვიდება. ჟანგბადი უკეთ მოძრაობს და სისხლი იწმინდება, იმუნური დაცვა აქტიურდება.

ჯერ კიდევ ძველად დაადგინეს, რომ სიცილი არაჩვეულებრივი ტკივილგამაყუჩებელია. დღეს ამერიკის კლინიკებში უამრავი „ექიმი - ჯამბაზი“ მუშაობს. ისინი ირწმუნებიან, რომ სიცილი წამალზე ნაკლებად როდი მოქმედებს. ბავშვთა ბევრ საავადმყოფოში მონაყოლია ე.წ. „სიცილის ოთახები“, კომედიური ფილმებისთვის.

სიცილი საბავშვო, ან მის გარეშე სულაც არ არის ცხოვრებისადმი არასერიოზული დამოკიდებულების ნიშანი. ესაა შესაძლებლობა, „ხუმრობით“ გადანეიტოვო სერიოზული პრობლემა.

სიცილის ყველაზე მთავარი ღირსება სტრესის აღქმის უნარის შემცირებაა.

სოციალური თვალსაზრისით, ნებისმი-



რი სიტუაციის იუმორით აღქმა შესანიშნავი თვისებაა. ნაღველი და სევდა მიიშვება დაავადებების მიზეზია. სიცილს კი რეალური, პროფილაქტიკური მოქმედება აქვს.

სიცილი არა მხოლოდ ჩვენს გენებში დაბუდებული რეფლექსია, რომელიც იუმორზე რეაგირებს, არამედ მნიშვნელოვანი სოციალური სიგნალიცაა. იგი ბევრ შემთხვევაში ერთგვარი რიტუალი გახდა. ხშირად ვიცინით არა იმიტომ, რომ ძალიან ვმხიარულობთ, არამედ კარგი, ან სულელური ტონის რალაც გარკვეულ წესებს ვემორჩილებით. მაგალითად, ინდოეთში დაბალი ფენის წარმომადგენლები მაღალი ფენის წარმომადგენლებს ხითხითით მიმართავენ.

ეს ტრადიცია ხაზს უსვამს მაღალი ფენის უპირატეს მდგომარეობას. ხოლო აშშ-ს კენტუკის შტატში, მოქმედებს ე.წ. „წმინდა სიცილის“ რელიგიური სექტა. მისი წარმომადგენლები ლოცვის დროს ცრემლის მორევამდე ხარხარებენ, იატაკზე გორავენ და სჯერათ, რომ ეს ღმერთთან ურთიერთობის ყველაზე საუკეთესო გზაა.

დღეისათვის მსოფლიოში ათზე მეტი

ე.წ. „სიცილის კლუბი“ არსებობს. პირველი ასეთი კლუბი ინდოეთში ექიმმა, მადან კატარიამ 1995 წელს დააარსა. არისტოტელეს ჯერ კიდევ ანტიკურ პერიოდში მიაჩნდა, რომ სიცილი ყველაფერზე შეიძლება, დამაარსებლემ კი დაამტკიცეს, რომ სიცილი ნებისმიერთან შეიძლება და მათ შორის უმიზეზოდაც. მაგალითად, ასეთი მეთოდით: წრეზე სხდებიან ადამიანები, ერთმანეთს უყურებენ და მექანიკურად სიცილს იწყებენ, რომელიც ცოტა ხანში ბუნებრივი და გადამდები ხდება.

სიცილი, გრძის მსგავსად, სწრაფად ვრცელდება. ცნობილია, რომ ქალები ორჯერ მეტს და უფრო ხალისიანად იცინიან, ვიდრე მამაკაცები.

ასევე, სასარგებლოა, არა მხოლოდ გულიანი სიცილი, არამედ გაღიმებაც კი. ლიმონის მომენტში სახის მიმიკური კუნთების აქტიური შეკუმშვა ხდება და სისხლის მიმოქცევა უმჯობესდება.

ისწავლეთ ცხოვრებაში სიცილითა და ლიმილით მოქმედება - ეს ჯანმრთელობისთვისაც კარგია, სულისთვის სასარგებლოა და გარემომცხოვრებულთათვისაც სასიამოვნოა!

ბესარიონ ბიგოლაშვილი, ფსიქოლოგი

სოფელ სამრეკლოში ამაღლების სალოცავი აკურთხეს

მაღლების სახელობის სალოცავი გაიხსნა, რომელიც ამაღლების დღესასწაულზე აკურთხეს. 29 მაისს კურთხევა დეკანოზმა გაბრიელმა შეასრულა. სალოცავი ადგილობრივი მაცხოვრებლების, კაველიძეების ოჯახის ინიციატივითა და ფინანსებით მოეწყო.

რადი კაპელიძე: „მამაჩემს წლების განმავლობაში უნდოდა სოფელში სალოცავი მოგვეწყო. შევარჩიეთ საკმაოდ ლამაზი ადგილი, საიდანაც მთელი სოფელი ჩანს. 2024



წელს ჯერ დიდი ჯვარი დავედით, წელს კი სპეციალურად დავანერინეთ ამაღლების ხატი, რომელიც მარტის თვეში თბილისიდან ჩამოვამოხმეთ და სალოცავი მოვანყეთ. კიდევ ბევრი რამეა გასაკეთებელი. ყველაფერს საკუთარი ხარჯებით ვაკეთებთ. ამაღლების დღესასწაულს დავამთავრეთ მისი კურთხევა და ვაპირებთ ყოველწლიურად ტრადიციად ვაქციოთ და ამაღლება აქ აღვნიშნოთ“.

ერთი კადრი წარსულიდან

1949 წელი, სოფელი არბოშიკი. მოსახლეობა ერთობლივი ძალებით აწესრიგებს წყლის სისტემას. „გოგაანთ წყლის“ სათავე ნაგებობის გასუფთავება. უკან მოსჩანს ვანკა დათუკიშვილის სახლი.



ჭაჭუნას ტერიტორიაზე კარანტინი მოქმედებს

ცოფი მწვავე პირუსული დაავადებაა, რომელიც მიმდინარეობს ცენტრალურ ნაირსახეობის სისტემის მიხედვით დაზიანებით და სრულდება სიკვდილით.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორია ცოფის თვალსაზრისით არაკეთილსაიმედოა. ცხოველში ცოფის შემთხვევები ხშირად ფიქსირდებოდა წლების განმავლობაში: 2019 წელს - 2 (1-ძაღვი, 1-ცხვარი), 2020 წელს - 2 (ძაღვი), 2023 წელს კი ერთი შემთხვევა დაფიქსირა (ძროხა).

2025 წლის მაისის თვეში ჭაჭუნას ტერიტორიაზე მდებარე ფერმაში შევარდა მგელი და დაკბინა ძაღლები. მათ შორის ერთი ძაღლი გახდა აგრესიული და დაკბინა საქონელი. ძაღლის პათ.მასალას ჩაუტარდა კვლევა და ლაბორატორიულად დადასტურდა ცოფი.

ფერმაში დასაქმებულია 5 ადამიანი, რომლებსაც ჰქონდათ შეხება ცოფიან ცხოველთან. ამჟამად მათ უტარდებათ ანტირაბიული აცრების სრული კურსი.

ადამიანის ინფიცირება ხდება დაავადებული შინაური და გარეული ცხოველებიდან: ძაღლი, კატა, მელა, მგელი, ტურა, დათვი, და სხვა თბილისხლიანი ძუძუმწოვრებიდან. დაავადებული ცხოველები ვირუსს გამოყოფენ ნერწყვით.

როგორ ვრცელდება ცოფი?

► ვირუსის გადაცემა შესაძლებელია ცოფით დაავადებული ცხოველის მიერ დაკბენის შედეგად;

► დაავადებული ცხოველის ნერწყვის ადამიანის ან ცხოვე-

ლის დაზიანებულ კანის საფარზე (ჭრილობა, ნაკანრის) ან ლორწოვან გარსებზე (პირის, ცხვირის და თვალის) მოხვედრის შედეგად.

როგორ მივიტანოთ აჭრი ცოფზე?

ცოფით დაავადებულ ცხოველს ეცვლება ქცევა: ხდება აგრესიული, გარბის სახლიდან, ეწყებათ უნებური ნერწყვა, ყლაპვის გაგრძელება, წყვეტს საკვების და წყლის მიღებას, ღრუნის უცხო სხეულებს.

თუ დაგვკბინა ან დაგვლოცა ცოფი?

► სწრაფად ჩამოიბანეთ ჭრილობა საპნითა და დიდი რაოდენობით გამდინარე წყლით.

► დაუყოვნებლივ მიმართეთ ექიმს! ცოფის პროფილაქტიკა შესაძლებელია ვაქცინაციით.

► მიმართეთ ვეტერინარს, რათა დაწესდეს ვეტ.მეთვალყურეობა დამკბენ ცხოველზე;

შეაჩერეთ ცოფი: აცერით თქვენი ცხოველები!

► ადამიანებმა ცხოველის მიერ დაკბენა-დაკანკრა-დადორბლის შემთხვევაში დაუყოვნებლივ მიმართეთ ექიმს ვაქცინაციისთვის!

ადამიანის ინფიცირებიდან ხანგრძლივი დროის განმავლობაში დაავადების ნიშნები შეიძლება არ გამოვლინდეს. ცოფის ინკუბაციური (ფარული) პერიოდი გრძელდება 10 დღიდან 1 წლამდე.

გახსოვდეთ ცოფით დაავადებულის განკურნება შეუძლებელია, მაგრამ შეიძლება თავიდან აცილება დროული ვაქცინაციით!

დედოფლისწყაროს

საზოგადოებრივი ჯანდაცვის

ცენტრი

სოფლის მეურნეობის სამმართველოს ყოფილი თანამშრომლები: ნანა აფციაური, მაყვალა ჯორკოშვილი, ეთერ სეფიაშვილი, მაყვალა მამულაშვილი, მერაბ ფიროსმანიშვილი, ივერი ჭუჭულაშვილი, ზურაბ თეთვაძე, კაკო სამუკაშვილი, თამაზ ჯანიკაშვილი, ავთანდილ ჯანაშვილი თანაგრძნობას უცხადებენ ნანა ჭიჭინაძეს, მამიდაშვილის

ლიანა მაჩიტაძის

გარდაცვალების გამო.

ლალი გურასაშვილი, ლამარა, ნანა ჭიჭინაძეები, მარიკა პოპიაშვილი გია, გოჩა ნიკვაშვილები ღრმა მწუხარებით იუნყებიან საქართველოს მასშტაბით გამოვლენილი „2025 წლის ეპოქის ადამიანების“ ნომინანტის, თხემით ტერფამდე ინტელიგენტი ქალბატონის

ლიანა მაჩიტაძის

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებენ ოჯახს.

მარიამ კვესაძის ზედადი სამყარო...

დედოფლისწყაროში მცხოვრები 16 წლის მარიამ კვესაძე ბავშვობიდან ხატავს. სამხატვრო სკოლის დამთავრების შემდეგ კიდევ 2 წელი ამავე სკოლაში იარა, თუმცა არა იმიტომ, რომ ჩამორჩენილი მოსწავლე იყო. უბრალოდ, არ ეთმობოდა და მათი დატოვება უჭირდა.

მარიამ კვესაძე: „ხატვის სურვილი ბავშვობიდან გამიჩნდა. ძალიან მომწონდა ფერებით თამაში, რადგან საკუთარ ემოციებს ფერების მეშვეობით გამოვსახავდი ფურცელზე. სკოლაში შესვლამდე ვხატავდი. შემდეგ უკვე როდესაც დედაჩემმა ნახა რომ ეს საქმე კარგად გამოდიოდა და ძალიან მომწონდა, გადაწყვიტა ხატვის სკოლაში შევეყვანე. ასე აღმოვჩნდი დედოფლისწყაროს სამხატვრო სკოლაში, სადაც 4 წელი დავდიოდი და იმდენად მომწონდა ეს გარემო, რომ 4 წლის შემდეგ სწავლის დასრულების მიუხედავად ამ სკოლის კედლები მაინც არ ვეთმობოდა. თავისუფალი გავხდი და სამხატვრო სკოლაში კიდევ 2 წელი ვიარე. ხატვისთვის საჭირო უნარები გენეტიკურად არ მაქვს, როგორც ვიცი მხატვარი არავინ არ გვყავს სანათესაოში, უბრალოდ, ვფიქრობ, თავისით განვითარდა ეს ნიჭი.“

რადგან ჩემს გარემოცვაში არავინ არ ხატავდა, აქედან გამომდინარე ჩემს ინტერესზე გავლენა არაფერს მოუხდენია. არავის არ გაუღვივებია ჩემში

ეს ინტერესი. ხატვისადმი სიყვარული და დიდი ინტერესი თავისით განვითარდა. თავს კარგად ვგრძნობდი და ვაგრძელებდი ხატვას. შემდეგ უკვე როდესაც ჩემი მშობლები მაქებდნენ, განსაკუთრებით კი ამას პაპა გამოხატავდა, ეს უდიდეს სტიმულს მაძლევდა. ზოგადად, ხშირად მეუბნებოდნენ, რომ ჩემი ნახატები ძალიან მოსწონდათ. გულწრფელად გითხრათ, ეს



უდიდეს მოტივაციას მაძლევდა, რომ მეტი მემუშავა საკუთარ თავზე, უფრო მეტად დამეხვეწა და გამეუმჯობესებინა ნამუშევრები.

ვის წვლილს გამოარჩევ ამ მიმართულებით შენს განვითარებაში?

— სამხატვრო სკოლამ უდიდესი როლი ითამაშა ჩემს განვითარებაში. ბევრი რამ მასწავლა ხატვასთან მიმართებაში. მანამდე თუ მხოლოდ საკუთარი ხედვის მიხედვით ვხატავდი, ახლა უკვე პროფესიული ტექნიკა განმივითარეს. სწორედ იქ ვისწავლე თუნდაც ფერების სწორად შეხამება, კომპოზიციის შედგენა და საკუთარი სტილისა და ხელწერის პოვნა. ჩემი საყვარელი მასწავლებლების: ირინა იაკობიშვილის, აკაკი მერაბიშვილის

და ქეთინო საბაშვილის დამსახურებაა, რომ ასე ძლიერ შემაყვარეს და მასწავლეს ხატვა. ძალიან თბილი მასწავლებლები არიან, განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდნენ თითოეული მოსწავლის მიმართ, ყოველთვის გვაქებდნენ და გვაძინებდნენ. თუკი რაიმეს შეცდომით ვაკეთებდით, მშვიდად გვიხსნიდნენ და გვასწავლიდნენ. ასეთმა გარემომ და მასწავლებლებმა ცხადია უფრო შემაყვარეს ხატვა.

სიმართლე გითხრათ, ხატვის სკოლაში წასვლა ყოველთვის ძალიან მიხაროდა, რადგანაც იქ არამარტო ხატვას ვაუმჯობესებდი, ბევრ ახალ რამეს ვსწავლობდი. ჩემთვის ეს სკოლაზე მეტი იყო. ამ ყველაფერთან ერთად მიყვარდა ეს გარემო: ბავშვები და სიმშვიდე, რაც იქ მხვდებოდა. ამგვარ გარემოში თავს ყოველთვის ბედნიერად და კომფორტულად ვგრძნობდი.

— რა დროს ხატავ და როგორი გარემო გჭირდება შემოქმედებითი მუშაობისთვის?

— ყოველთვის ვერ ვხატავ, რადგანაც ამისთვის განწყობა და შთაგონება საჭირო. ხშირად ჩემთან ის მაშინ მოდის, როდესაც მარტო ვარ და სიმშვიდეში ჩემს საყვარელ მუსიკას



ვუსმენ. ასეთ დროს მარტივად მომდის იდეები და ემოციებიც თვითონ, ძალისხმევის გარეშე გადადის ფურცელზე. ძირითადად გუაშით და აკვარელით ვხატავ, რადგან ამ მასალით შესრულებული ნამუშევარი ცოცხალია და განსაკუთრებულ შთაბეჭდი-

ლებას ახდენს მნახველზე. თუ შედარებით რთული დასახატია, რამდენიმე დღე ვუნდები, გააჩნია ნახატს. იმის გამო, რომ სკოლის პერიოდში არ მაქვს ბევრი დრო, ხშირად ვერ ვხატავ, აქედან გამომდინარე არ მაქვს ბევრი ნამუშევრები. ზაფხულში, არადადეგებზე მინდა ახალი ნამუშევრების დახატვა.

ჩემი საყვარელი ფერებია: მწვანე, ცისფერი და ყვითელი. სამივე ბუნებასთან ასოცირდება, ამიტომ განსაკუთრებით მომწონს ეს ფერები. ხშირად თავიდანვე ვიცი რისი დახატვა მინდა. თუმცა, ხანდახან, როდესაც არ ვიცი რა დავხატო, უბრალოდ ვიღებ ფანქარს და ვინყებ ხატვას და ინსპირაციას მივეძიებ.

სამომავლოდ ვაპირებ გავაუმჯობესო ხატვის უნარები და მეტი ნამუშევარი შევასრულო, ასევე ძალიან მინდა საკუთარი ნამუშევრების პერსონალური გამოფენა მოვანყო.

— აბიტურიენტის ასაკში შედიხარ და ხატვას გააყვები, თუ სხვა პროფესიას აირჩევ?

— ამ ეტაპზე ჩემთვის ხატვა ჰობია, ეს საქმიანობა ძალიან მიყვარს და ყოველთვის სიამოვნებით ვხატავ ხოლმე, თუმცა, პროფესიული კუთხით სხვა სფეროც მომწონს და მომავალში საკუთარ თავს სწორედ იმ სფეროში ვხედავ. მიუხედავად ამისა, ხატვა ყოველთვის იქნება ჩემი საყვარელი საქმიანობა.

ფსიქოლოგიით ვარ დაინტერესებული. განსაკუთრებით მომწონს ეს სფერო. ზუსტად ვერ გეტყვით, არ ვიცი ასე ძალიან რატომ მიზიდავს. ზოგადად, ჩემთვის ძალიან საინტერესოა ადამიანის ფსიქიკა და მინდა უფრო მეტი გავიგო ამასთან დაკავშირებით. შესაბამისად მსურს, რომ მომავალში ამ სფეროს პროფესიულად გავყვე. სხვა პროფესიების შესწავლას ვერ არ განვიხილავ, რადგანაც ამ მომენტისთვის განსაკუთრებით მაინტერესებს ფსიქოლოგია და ეს პროფესია მაქვს გადაწყვეტილი. თუმცა, არ ვიცი ეს იქნება თუ არა ჩემი საბოლოო არჩევანი...

ილია მარტყოფლიშვილი

ქურციკები სამუხის ველზე

მაისი საქართველოში ქურციკებისთვის რეპროდუქციული ციკლის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პერიოდია.

ახალშობილების დიდი ნაწილი სწორედ ამ დროს იბადება, შესაბამისად, ტერიტორიაზე არსებული მყუდრო და უსაფრთხო გარემოს შენარჩუნება კრიტიკულად მნიშვნელოვანია.

მდებრი ქურციკების უმეტესობა ორსულობის ბოლო ფაზაში, წინასწარ შერჩეულ მონაკვეთებში, პოტენციური საფრთხისგან თავის ასარიდებლად, დროის ძირითად ნაწილს მწოლიარე მდგომარეობაში ატარებს და დიდი მუცლის

გამო სწრაფი სირბილის უნარს მოკლებულებისთვის, მათთან შორიანხლოს გადაადგილებაც კი სტრესის გამომწვევ ფაქტორად შეიძლება იქცეს.



ხოლო ახალშობილი ლიკლიკები პირველ რამდენიმე კვირას ბალახებში უმოძრაოდ, განაბულები ატარებენ – რადგან ეს პოტენციური საფრთხისგან მათი თავდაცვის ყველაზე ეფექტური ბუნებრივი მექანიზმია.

წელს, საქართველოში, ლიკლიკების უკვე მეთერთმეტე თაობა იბადება, რაც მდგრადი პოპულაციის ჩამოყალიბების პროცესში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ეტაპია. შესაბამისად, ამ პერიოდში არსებული მყუდრო და უსაფრთხო გარემოს შენარჩუნება ტერიტორიაზე ნარმოდგენილი ყველა შესაბამისი უწყებებისთვის პრიორიტეტია, რაც უკვე მრავალი წელია ქურციკებისთვის ხელსაყრელი პირობების არსებობას უზრუნველყოფს.

ვაჟა ყოჩიაშვილი
ქურციკების მონიტორინგის ექსპერტი

იყიდება დედოფლისწყაროში კერძო აგურის სახლი 170 კვ.მ, ბელეტაჟზე.

მეტალოკრამიტის გადახურვით, მეტალოპლასტმასის ფანჯრებით. სამზარეულო, აბაზანა-ტუალეტი მიგნით და კაფელ-მეტლახით გაკეთებული, ჭერზე „გიფსოკარდონებით“, გათბობით, ცივი და ცხელი წყლით. ყველაფერი ახალი გარემონტებული. ეზო 800 კვ.მ ხეხილით, რკინის კარი. ფასი 33 000\$. ასევე, კორპუსის 4 ოთახიანი ბინა სასტუმრო „ავტოგრაფის“ წინ, ფასი 28 500\$. ტელ: 595 32 47 61

ამინდი

ორშაბათი 02.06	სამშაბათი 03.06	ოთხშაბათი 04.06	ხუთშაბათი 05.06	პარასკევი 06.06	შაბათი 07.06	კვირა 08.06
დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე
27°	14°	22°	13°	22°	13°	23°
25°	14°	26°	15°	27°	15°	

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი **ივანე შიოლაშვილი**

რედაქტორი **ილია მარტყოფლიშვილი**

მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: შუშუნა ყანჩაშვილი, ელზა ხარაშვილი (ჟურნალისტები);
ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა პოსტაშვილი (ბუღალტერი);
ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზინა ქანაძე (საქმის მწარმოებელი).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შპს „ლაბ კოლორის“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
☎ 0 356 22 22-85;
„შირაქის“ ელ.ფოსტა:
gazetishiraki@gmail.com
598 72-18-72 (დირექტორი)
593 275-275 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს სასამართლოს მიერ, №6014-468.

გაზეთის გამომწერა წელიწადში – 20 ლარი